რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 24 აგვისტო 1917 წ.

ერთობა

ფასი 12 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 2 მან. 60 კაპ., ორი თვით 5 მ. 20 კ., სამი თვით 7 მან. 80 კ., ოთხი თვით 10 მ. 40 კ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ., მეოთხე გვერდზე—15 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 6 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს ღამის 11 საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 130 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების. № 130

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში:

ერთი თვით—2 მან. 60 კაპ., ორი თვით—5 მან. 20 კაპ., სამი თვით—7 მან. 80 კაპ., ოთხი თვით—10 მან. 40 კაპ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კაპ. ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველი რიცხვიდან. ადრესის შეცვლა პროვინციელ ხელის მომწერთათვის 1 მანეთი. **გაზეთის ფასი ხელის მომწერმა წინდაწინ უნდა გადაიხადოს, ნისიათ არავის გაეგზავნება.**

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: **Тифлисъ, почтовый ящикъ № 199., редакція „Эртоба".**

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში" ოლღას ქუჩა, № 6.

იმ ხელის მომწერთ, რომელთაც ამ წლის მეორე ნახევრის ფული ძველ ფასობაზე აქვს გამოგზავნილი, უმორჩილესად ვსთხოვთ შეავსონ თავიანთი ხელის მოსაწერი ფული ზემოხსენებულ ფასის მიხედვით.

სავალდებულო დადგენილება თფილისის საგუბ. სასურსათო კომიტეტისა.

თანახმად დროებითი მთავრობის ამა წლის 30 მარტის დადგენილების მე-13 ტი მუხლისა, იმ დადგენილებათა დასამატებლად და დასაზუსტებლად, რომელიც გამოცემულია 14 და 22 ივლისს და 7, 9, 11, 13 და 15 აგვისტოს ამა წლისა თფილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი აწესებს: აიკრძალოს ქ. თფილისიდან და თფილისის გუბერნიიდან გატანა ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირველ საჭიროების სანოვაგისა და საგნებისა: 1) ფქვილისა, 2) შაქრისა, 3) ჩაისა, 4) ყველისა. 5) ერბოსი, 6) კართოფილისა და სხვა მწვანილეულისა, 7) თივეულობისა, 8) მანუფაქტურისა, მატყლისა და მაუდისა, 9) შეკერილ ტანისამოსის და თეთრეულისა, 10) მატყლისა, 11) საკერავ ძაფისა, 12) ტყავეულობისა, 13) ფეხსაცმელისა (მათ შორის წუღებისა), 14) თუთუნისა, 15) სანთლისა, 16) სპიჩკისა, 17) საპნისა, 18) ცარიელი ტომრებისა. რკინის გზისა, ფოსტა-ტელეგრაფისა და სატრანსპორტო კანტორების ადმინისტრაციას ევალებათ არ მიიღონ გასაგზავნათ ზემო აღნიშნული სანოვაგე და საგნები თფილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის ნებადაურთველად.

(3—2)

თავმჯდომარის მაგიერი: ჯანდუროვი, მდივანი: აფონსკი.

სავალდებულო დადგენილება

თფილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტისა.

1) სახლის პატრონები და სახლის გამგენი ქ. თფილისში ვალდებულნი არიან აწარმოონ სწორი ჩაწერა ყველა იმ პირებისა, ვინც სახლში მოდის და სახლიდან მიდის, სწორი აღნიშვნით, საიდან მოვიდა ეს პირი, ან სად წავიდა. ეს ცნობები 24 საათის განმავლობაში უნდა წარდგენილ იქმნას საუბნო კომისარიატში.

2) აიკრძალულია გაყიდვა, დათმობა ან და უფასოთ გადაცემა ქალაქის სასურსათო კომიტეტის მიერ გამოცემულ შაქრის, პურის, ფქვილის და სხვა ბარათებისა სხვა პირებზე, თუნდაც ნათესავებზე.

3) პურის საცხობების პატრონები, აგრეთვე მათი მოადგილენი, ვალდებულნი არიან გამოაცხონ ყველა ის ფქვილი, რომელიც მათ მიეცემათ ბარათებით ქალაქის საწყობიდან, თანახმად დადგენილ ნორმისა.

4) მეფურნეებს და მათ მოადგილეებს ეკრძალებათ ფქვილის გაყიდვა.

5) პურის საცხობების პატრონები და მათი მოადგილენი იმ შემთხვევაში, თუ მათ არ სურთ პურის ცხობის გაგრძელება, ვალდებულნი არიან აცნობონ ამის შესახებ ქალაქის სასურსათო კომიტეტს ორი კვირით ადრე წარმოების შეჩერებამდე.

6) ამ სავალდებულო დადგენილებათა დამრღვევნი, თანახმად სასჯელთა დებ. 29 მუხ., რომელიც ეხება მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ და რომელიც მოხსენებულია დროებითი მთავრობის 17 მარტის ამა წლის დადგენილებაში, დაისჯებიან: საპატიმროში დამწყვდევით არა მეტი სამი თვისა, ანდა 300 მ. ჯარიმით.

7) ეს დადგენილება ძალაში შედის გამოცხადების დღიდან.

თფილისის საგუბ. სასურსათო კომიტეტი.

თავმჯდომარის მაგიერი: ჯანდუროვი.

მდივანი: აფონსკი.

(3—2)

კვირას, 27 აგვისტოს დილის 10 საათზე (ახალ დროზე) სახალხო სახლში დანიშნულია მომხმარებელთა საზოგადოება

„აღორძინება"-ს

წევრთა წლიური საზოგადო კრება

დღის წესრიგი: 1) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენება, 2) წლიური ანგარიშის და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა, 3) გამგეობის წევრთა არჩევა და 4) მიმდინარე კითხვები. დაბეჭდილი ანგარიშები შეუძლიათ მიიღონ უმთავრეს მაღაზიაში და განყოფილებებში. რადგან ეს კრება დანიშნულია მეორეთ, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კანონიერად ჩაითვლება.

(5—3) **გამგეობა.**

გომბორის კოოპერატივის „ნახშირის" გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 27 აგვისტოს, ნაშუადღევს 4 საათზე დანიშნულია

თფილისის განყოფილების წევრთა არა ჩვეულებრივი კრება,

ამისათვის სთხოვს წევრებს გამოცხადდენ საზოგადოების კანტორაში საჭირო კითხვების გასარკვევად.

გამგეობა. (2—2)

განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი

8 კლასიანი ვაჟთა და ქალთა გიმნაზია

ყოველგვარ უფლებით

დ. ი. ბერიოზიშვილის

მიიღებიან მოწაფეები I მოსამზ., უმცროს და უფროსს მოსამზადებელ I, II, III, IV და V კლასში

თხოვნების მიღება ყოველ დღე. ◆ **გამოცდა დაიწყება 21 აგვისტოს.**

დროებითი კანცელარია ღიაა დილის 9—2 საათ. და საღ. 5—8 საათამდე ბათუმის ქ., № 23. დიდუბე, (ელისაბედის ქ. ყურე) მეორე სართული. ტრამვაი 8.

---

8 კლასიანი გიმნაზია

ე. ს. გილანიშვილისა

ეგზამენები ახლად მისაღებთათვის საანბანო განყოფილებისათვის—23 აგვისტოს, დაბალ მოსამზად. განყ. 24 აგვისტოს, მაღალში—25 აგვ. I, II, III კლასს. 28, 29, 30, 31 აგვისტოს. (1—1)

მიხაილოვის (ქალთა და ვაჟთა) გიმნაზიაში (ადგ. მიხაილოვი, ამიერ კავკ. რკ. გზ.)

ეგზამენები

როგორც გადასასვლელი, ისე მისაღები, რომელიც კლასშიაც ადგილი აღმოჩნდება აგრეთვე მოწმობებზე დაიწყება 25 აგვისტოდან. მეცადინეობის დაწყების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2—2)

გარეშე საფრთხე.

გერმანიის იმპერიალისტებმა გაიმარჯვეს, მათ დიდი ხნის სურვილი შესრულდა: რიგის სიმაგრეები ხელში ჩაიგდეს.

ამ გზით მოწინააღმდეგე სახელმწიფოს გაბატონებულმა კლასებმა და მათ მიერ შექმნილმა მთავრობებმა ისტორიულ მისწრაფებას მიაღწიეს და აღმოსავლეთისაკენ წაწევის სურვილი სისრულეში მოიყვანეს.

მალე მათი მბრძანებლობა ბალტიისა და შავი ზღვის პატრონათ გადაიქცევა და მთელი რიგი ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობის უპირატესობა მიენიჭებათ. შავი ზღვისა და ბალტიის ზღვაზე გერმანიის იმპერიალისტების გაბატონება მათ საშუალებას მისცემს აღმოსავლეთისაკენ თავიანთი ეკონომიური ბატონობა და ამასთან შეკავშირებული პოლიტიკური გავლენაც აღმოსავლეთით გაავრცელონ და მრავალი ხალხები თავიანთ ინტერესების მიხედვით დაიმორჩილონ. ასეთია იმპერიალისტების ტენდენცია, ასეთია ყველა გამარჯვებულ სახელმწიფოების სურვილები.

ბურჟუაზიულმა სახელმწიფოებმა მსოფლიო ომი სწორედ ასეთი მიზნის განხორციელებისათვის გამოიწვიეს და მსოფლიო შეტაკებას ეს დაუდვეს მიზნათ.

საგარეო ომში გამარჯვებული თანამედროვე იმპერიალისტური სახელმწიფო შინაც და გარეთ რეაქციონურ პოლიტიკას აძლიერებს და შინა-გარეთ ასეთ ეკონომიურ და პოლიტიკურ საშუალებას ქმნის, რომელიც საზიანოა როგორც შინაურ დემოკრატიისათვის—ისე ახლად დაპყრობილ ერთა ხალხისათვის. განსაკუთრებით ყველაზე მეტ პოლიტიკურსა და ეკონომიურ სიმძიმეს დაპყრობილ ქვეყნების მუშათა კლასი განიცდის და კლასობრივი ბატონობის სიმძიმე ერთიორათ გაუორკეცდება. ამიტომაც იყო ძველი და მეორე ინტერნაციონალი ომის დროის მუშათა კლასს სამშობლოს დაცვისაკენ მოუწოდებდა და ამ გზით ცდილობდა მოესპო ის არასასურველი და ანტიკლასობრივი მდგომარეობა, რომელსაც იმპერიალისტური სახელმწიფოები საგარეო ომის დროს ელტვიან. იმპერიალისტური ომები მუდამ და ყოველთვის საერთაშორისო დემოკრატიის ინტერესს ფეხქვეშ სთელავს; საერთაშორისო კლასობრივი ბრძოლის, კლასობრივი სოლიდარობისა და შეკავშირების მაგიერ ერთმანეთის შური და დეზორგანიზაცია ბატონდება.

იმპერიალისტური ომების მეოხებით საერთაშორისო პროლეტ. კლასობრივ ბრძოლის ნიადაგს დროებით შორდება და თითქმის ნაციონალური ბრძოლა და სიძულვილი იწყება.

უკანასკნელი გარემოება კი ყველაზე მეტად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთაშორისო პროლეტარიატისათვისაა საზარალო და მას კარგა ხნით დააქვეითებს.

აი ის მთავარი მოტივი, რომლის გამოც მეცნიერული სოციალიზმის ნიადაგზე მდგომი სოციალისტური პარტიები მუდამ და ყოველთვის ამა თუ იმ იმპერიალისტური ომების დაწყების დროს თვითეულ სახელმწიფოს მუშათა კლასს სამშობლოს დაცვისაკენ მოუწოდებდენ და იარაღით ხელში მტრის მოგერიებას ურჩევდენ.

სამშობლოს თავდაცვის საკითხი მთელი თავისი სიძლიერით არსებულ მსოფლიო ომის ხანაში წამოიჭრა და მეომარი სახელმწიფოების პროლეტარიატი მედგრათ იცავდა საკუთარ სახელმწიფოს. იცავდა იმიტომ, რომ ამ ქვეყნის მეომარ სახელმწიფოების იმპერიალისტური კლასები თავიანთ წარმოების წესით იმ ზომამდის არის განვითარებული, რომ საგარეო ბაზრების დაპყრობა და ძალით უცხო ტერიტორიების შემოერთება მათ კლასობრივ ბატონობის მოვალეობას შეადგენს. ამ მხრივ გერმანიის იმპერიალისტები აღმოსავლეთისაკენ იწევენ, მიზნათ რუსეთის ტერიტორიაზე ღრმათ შემოიჭრენ და მთელი სახელმწიფო დასავლეთისაკენ გასავალს აღარ მისცემენ.

ასეთი მდგომარეობა კი რუსეთის ეკონომ. და პოლიტიკურ არსებობას საფრთხეში ჩააყენებს და მისი მომავალი მძიმე იქნება. ეკონომიური და პოლიტიკური პირობები რუსეთის დემოკრატიის დიდ საფრთხეს უქადიან და მისი დემოკრატიული თავისუფლება განსაცდელში ჩავარდება.

ოდესღაც თუ მარქსი გერმანიის რუსეთზე გამარჯვებას როგორც სახელმწიფოს დემოკრატიის გამარჯვებათ სთვლიდა, ახლა მდგომარეობა დიამეტრალურათ წინააღმდეგია, და რევოლუციონური ხალხის გამარჯვება იმპერიალისტების სურვილების დამარცხება იქნებოდა და ამ გზით მთელ კაცობრიობის დემოკრატია იმპერიალისტურ პოლიტიკას დაასამარებდა. მაგრამ რეალური მდგომარეობა გერმანიის იმპერიალისტების სასარგებლოთ შეიცვალა. სხვადასხვა მიზეზების გამო, ეკონომიური და კულტურული სისუსტის მეოხებით რუსეთის რევოლუციონური მხედრობა მტერს ვერ გაუმკლავდა, მან ბრძოლის უნარი დაკარგა. 1871 წელს თუ პარიზის კომუნა და მისი დემოკრატია თავის ხარჯით თოფ-ზარბაზნებს აწვდიდა და გერმანიის ჯარებს უმკლავდებოდა—რუსეთის რევოლიუციონური ჯარი მოგერიებასაც ვერ ახერხებს და მტერი შიგნით და შიგნით მოიწევს.

საფრანგეთში თუ კომუნის ბატონობის დროს პროლეტარიატმა უდიდესი ძალა გამოიჩინა და სასტიკი საგარეო მტრის მოგერიება მოახერხა და მთელი თავისი ენთუზიაზმით, თავგამოდებით იბრძოდა სამშობლოს დასაცავათ,—რუსეთის ჯარში და არმიაში ამას ვერ ვხედავთ და ამის გამო მთელი ხალხის ეკონომიური სიძლიერე და მისი ფართო დემოკრატიული თავისუფლება გარეშე მტრისგან საფრთხეში ვარდება.

დიდ საერთო ობიექტიური მდგომარეობამ რუსეთის ხალხი და არმია ჯეროვან ნიადაგზე ვერ დააყენა და მას აღარ შეუძლიან მტრის მოგერიება.

მდგომარეობა კრიტიკულია გამოსავალი ერთია: დაუყოვნებლივ ზავი, რომელიც უზრუნველჰყოფს რუსეთის მომავალ ეკონომიურ და არსებულ პოლიტიკურ თავისუფლებას.

მიმოსვლის კრიზისი.

ეკონომიურ კრიზისთან ერთად ძლიერდება მიმოსვლის კრიზისი და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება განსაცდელში ვარდება. განსაკუთრებით აიწეწ-დაიწეწა რკინის გზების საქმე და საქონლის გადატან-გადმოტანა. მგზავრების გადაყვან-გადმოყვანა წარმოუდგენლათ ფერხდება. ამ გარემოებას მოსკოვის თათბირზედაც დიდი ყურადღება მიაქციეს და იქაც აღნიშნეს, რომ მიმოსვლის საქმე მძიმე პირობებშია ჩაყენებული და რკინის გზებზე რეგულიარულ მოძრაობას დიდი კატასტროფა მოელის. სხვა დარგთან ერთად მიმოსვლის საშუალებებმაც, როგორც მოსალოდნელი იყო, მსოფლიო ომის ზეგავლენა განიცადა. ომისაგან საერთოთ გამოწვეულმა კრიზისმა ამ დარგშიაც თავისი დამღუპველი კვალი დასტოვა.

რკინის გზების ლიანდაგების სიმცირემ, ჯარების და საომარ მასალების გადატანამ მთელი მამოძრავებელი ძალები შეიწირა. რკინის გზის ლოკომოტივები და ვაგონები ომის საჭიროებას ვეღარ ასვლიან.

თვით დასავლეთ ევროპის მეომარ სახელმწიფოებში, განსაკუთრებით გერმანიაში, როცა ომისა და სამხედრო საჭიროებისათვის რკინის გზების სპეციალური ლიანდაგებია გაყვანილი—იქაც კი საერთაშორისო ომის გამო რკინის გზებზე საქონლის გადატანა და სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა საგრძნობლათ შემცირდა და მით მთელი ეკონომიური ცხოვრება წარმოუდგენელ კრიზისს განიცდის. იქ მრავალი ფაბრიკა ქარხნები, დასამუშავებელ მასალების თავის დროზე მიუტანლობის გამო შეჩერდენ და წარმოება შესწყვიტეს.

მაშ რაღა უნდა ითქვას, რუსეთის იმპერიაში, სადაც რკინის გზების სიმცირე, რკინის გზების ლიანდაგების სიმჭიდროვე ერთი ათად ნაკლებია, ვიდრე დასავლეთ ევროპაში.

ძველმა ბიუროკრატიულმა და აბსოლუტურმა მთავრობამ მიმოსვლის გაფართოებაზე ნაკლებ იზრუნა და ამ მხრივ იგი ყველაზე ღარიბია. რკინის გზების სიღარიბეს მეორე გარემოებაც ემატება. რკინის გზების ლიანდაგების უმეტესობას უმთავრესათ სტრატეგიული ხასიათი აქვს და რუსეთის ეკონომიური ცხოვრების განვითარებაში მეორე უმნიშვნელოვან როლს თამაშობს. მიმოსვლის განუვითარებლობა რუსეთის საწარმოვო ძალთა განვითარებას აფერხებდა.

ახლა ეს გარემოება მთელი თავისი სიძლიერით რუსეთის ცხოვრებას წინ წამოიჭრა, მიმოსვლის საქმეში დიდი კრიზისი გამეფდა, საწარმოვო ცენტრები, სამრეწველო რაიონები ნედლი მასალის მიდამოებს დაშორდენ და ნედლი მასალის ფაბრიკა-ქარხნებში მიტანა გაძნელდა, რკინის გზების კრიზისის გამო მწარმოებელსა და მომხმარებლის შუა ის მცირეოდენი ნაწარმოებიც კი, რომელიც ამ ჟამათ მზადდება, რეგულიარულად არ იცვლება და მთელი მომხმარებლები და მწარმოებლები უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფებიან. საქონლის გადატან გადმოტანის შეფერხება მთელი რუსეთის ეკონომიური ცხოვრების არსებობას განსაცდელს უმზადებს და მისი კრიზისი ყველას საგონებელში აგდებს.

მაგრამ საგანგაშო ის არის, რომ ეს კრიზისი რაც დღე გადის იმდენათ ძლიერდება და არსებული რკინის გზების მოძრაობა ომის საჭიროებასაც კი ვეღარ აკმაყოფილებს. შორს აღარ არის ის დრო, როცა მთელ რკინის გზებზე მოძრაობა აირევ-დაირევა და საქონლის გადატან-გადმოტანა შეფერხდება. სულ პატარა ტეხნიკური და მექანიკური ძალების კრიზისია საჭირო, რომ რუსეთი უგზოთ დარჩეს და მთელი ხალხი დამშევს გზას დაადგეს. ამიტომ მთელი დემოკრატიის ძალა იქით უნდა იქნეს მიმართული, რომ მიმოსვლის შემაფერხებელი ფაქტორი თავიდან იქნას აცილებული და მსოფლიო ომი, რომელიც მას ანადგურებს, შეჩერებულ იქნას. ხსნა ამაშია, სხვა გზა არ დარჩენილა.

დეპეშები.

(პ. დ. ს.)

22—23 აგვისტო.

კომისარის მოხსენება რიგის ფრონტის დატოვების შესახებ.

პეტროგრადი. საომარი ფრონტის სარდალთან მყოფი კომისარის თანაშემწე ვოიტინსკისაგან მთავრობამ ორი დეპეშა მიიღო. ირკვევა შემდეგი: 19 აგვისტოს ძლიერი საარტილერიო სროლის შემწეობით გერმანელებმა შეძლეს დვინის ნაპირზე გადმოსვლა. ჩვენმა ზარბაზნებმა მტერი ვერ შეაკავეს, ვინაიდან უმეტესი ნაწილი ჩვენი ზარბაზნებისა მტერმა დაზიანა. ჩვენი ჯარის საომარი ადგილი მტერმა ყუმბარებით და სულის შემხუთავი გაზებით გაავსო. ამიტომ ჯარი იძულებული გახდა უკან დაეხია. ჯარის კომიტეტების წარმომადგენლები ბრძოლის რაიონში იმყოფებოდენ. მტერმა ჩვენს წინააღმდეგ თავი მოუყარა დიდძალ ზარბაზნებს, რითაც ბევრი ჩვენი ზარბაზნების დაზიანება შესძლო, როგორც უბრალო, ისე ქიმიურ შემადგენლობის მასალებით გატენილი ყუმბარებით. პირველი ხაზის სანგრების საფარი მტერმა არტილერიით დაანგრია და ჯარიც იძულებული გახდა უკან დაეხია. ამასთანავე, მტერმა შესძლო ჩვენი ჯარის ზოგიერთი ნაწილები გაეფანტა. ამის შემდეგ აღარ აღმოჩნდა ხელის შემშლელი პირობები, რომ მტ. დვინაზე ხიდები გაეკეთებია და მარჯვენა ნაპირზე გადმოსულიყო. იმ დროს, როცა ჩვენი ჯარის ერთი ნაწილი სანგრების მეორე ხაზს ამაგრებდა, მტრის მიერ დაკავებული ადგილის უკან დასაბრუნებლად და იმ ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც მდინარეზე გადმოდიოდენ, გაგზავნილ იქნა ჩვენი ჯარი, რომლებმაც შეუდარებლად იბრძოლა. ჩვენი ჯარების ზოგიერთი ნაწილები კონტრიერიშით მიდიოდენ მტერზე და მათ მდინარისაკენ უკან ახევინებდენ. ჩვენი ჯარები ღირსეულად და მამაცურად იბრძოდენ. ერთმა პოლკმა თითქმის მთელი დღე იბრძოლა. მეორე რამდენიმე ვერსის მანძილზე იყო გამწკრივებული და დიდძალი მტრის ძალას ებრძოდა. ერთ-ერთი საარტილერიო დივიზიონი ყველაზე ბოლოს გამოვიდა თავის პოზიციიდან, ქვეითი ჯარის მიერ გარშემორტყმული. ჩვენი ზარალი საგრძნობია, მაგრამ ჯარის სულიერი განწყობილება ხნეა. ჯარისკაცებს დაჭრილი ამხანაგები და ოფიცრები ხელით გამოჰყავდათ. ბევრი დაჭრილი გამოცხადდა პოლკების შეხვედრის ადგილებში თოფებით ხელში. ჯარის კომიტეტები და ჯარის უფროსთა შემადგენლობა მეგობრულად მუშაობენ. მოხსენება ასე თავდება: მდგომარეობა მეტად მეტად სერიოზულია, მიუხედავათ ამისა,—ის საშინელი მდგომარეობა, რომელიც ჩვენმა ჯარმა განიცადა-გადაიტანა, დიდ, ნუ გამოიწვევს ნერვიულში პანიკასა და სასოწარკვეთილებას.

[illegible] სახელმწიფო სხდომა.

პეტროგრადი. რიგის ფრონტზე მაშინდელი

საერთაშორისო ომი.

რიგის და მისი რაიონის დატოვების შემდეგ რუსის ჯარი ფეხს ვეღარ იკიდებს და თავზარ დაცემული უთავბოლოდ ჩრდილოეთისაკენ იხევს. გერმანიის ჯარმა იქსკიულის მიმართულებითაც გაარღვია რუსების ფრონტი და დვინსკის პოზიციებს უვლიან.

მტერმა სამხედრო ფლოტიც აამოძრავა და პერნოვის ჩრდილოეთით მდებარე ადგილებს ზარბაზნის ყუმბარებს უშენს.

ერთი სიტყვით რიგის ფრონტის გარღვევის შემდეგ რუსის ჯარი მეტად უკიდურეს პირობებში ჩავარდა და მას დიდი კატასტროფა მოელის.

რუსის ჯარის ერთი ნაწილი პსკოვისაკენ უკან იხევს და ისეთ უგზო-უკვლო ადგილებისაკენ იწევს, რომ აქედან თავის გართობა მეტის მეტად გაუძნელდება. ჩრდილოეთის ფრონტზე შემოტევამ ისედაც დასუსტებული ჯარი უფრო მეტად დაასუსტა და ბრძოლის გაგრძელება გაუძნელდება.

რუმინიის ფრონტზე რუსეთ-რუმინიის ჯარი იერიშებს იგერიებს.

საფრანგეთისა და იტალია-ავსტრიის ფრონტზე ღირს შესანიშნავი არაფერი მომხდარა

ამბების გამო მოხსენება გააკეთა ბოგდანოვმა. ჩხეიძის წინადადებით ბრძოლაში დახოცილთა ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცა კრებამ. შემდეგ მომხსენებელმა სთქვა: დემოკრატიის მდგომარეობა ამ ჟამად საძნელოა, ვინაიდან ფრონტზე მომხდარი ამბებით დემოკრატიის მტრებს შეუძლიათ კარგათ ისარგებლონ. მუშათა კლასი და ჯარი უნდა შეკავშირდენ და საჭირო ზომები ეხლავე მიიღონ. დღესვე უნდა იქნას მიღებული ზომები, რომ პეტროგრადი გამაგრებულ იქნას, როგორც ამას მოითხოვს რევოლიუციონური რუსეთის ინტერესები. ჯარი უნდა წარმოადგენდეს სამხედრო ძალას. პეტროგრადის ჯარმა უნდა მიიღოს თავის თავზე ქალაქის დაცვის საქმე, მისი დარაჯობა, მუშებმა უნდა დაიცვან ფაბრიკა-ქარხნები, რომლებიც დაცვის საქმეზე მუშაობენ, პროფესიონალურმა კავშირებმა და საქარხნო კომიტეტებმა დაუყონებლივ უნდა მოახდინონ ყველა დარგის მუშათა აღრიცხვა, უნდა გარკვეულ და აღნიშნულ იქნენ ქარხნების ისეთი ადგილები, რომლებიც ტეხნიკურის თუ სხვა მოსაზრებით საფრთხილონი არიან. შემდეგ მომხსენებელი შეეხო მოსკოვის თათბირს და აღნიშნა, რომ ამ თათბირმა დაამტკიცა დემოკრატიის შეკავშირება. ბოლშევიკების რეზოლიუცია, რომ პროტესტი გამოეცხადებინათ კომიტეტისათვის თათბირზე მონაწილეობისათვის და შეთანხმება არ მომხდარიყო ბურჟუაზიასთან, სხდომამ უარყო. მიღებულ იქმნა მენშევიკების და სოციალისტ-რევოლიუციონერების მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია, რომელიც ბოგდანოვის მოხსენების შინაარსისაა.

კომისარების მოხსენება.

პეტროგრადი. მინისტრთა თავმჯდომარემ დრ. მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ კომისარებმა, რომლებიც გაყვენ ყოფილ მეფეს ტობოლსკში—ვერშინინი, კამილინსკი და მაკაროვი, მოახსენეს, რომ დავალებული საქმე პირნათლათ აასრულეთო.

დიდი მთავრის დაპატიმრება.

პეტროგრადი. 22 აგვისტო. სოც. რევ. პარტიის გაზეთში „დელო ნაროდა“-ში შემდეგი განცხადებაა მოთავსებული: „კონტრ-რევოლიუციონერების ორგანიზაციების აღმოჩენის და რესპუბლიკის წინააღმდეგ შეთქმულთა აღმოჩენის გამო დრ. მთავრობის დადგენილებით დააპატიმრეს დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე და მისი ცოლიო.

ეპისკოპოსის განდევნა.

ეკატერინოსლავი. გუბერნიის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა: ხელმეორეთ იშუამდგომლოს ეპისკოპოს აგაპიტის განდევნის შესახებ.

უკრაინის ამბები.

კიევი. 22 აგვისტო. სამხედრო სამინისტროს მიერ უკრაინის განმათავისუფლებელ კავშირის მოწყობის განცხადების გამო—ცენტრალურ რადის თავმჯდომარემ გრუშევსკიმ კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, რომ უკრაინის ცენტრალურ რადას ხშირათ მოუდიოდა კავშირიდან მისალმების ბარათები და თან სხვადასხვა თხოვნებიო, მაგრამ ცენ. რადამ დაადგინა კავშირთან არავითარი დამოკიდებულება არ იქონიოს.

გენერალური სეკრეტარიატის შემადგენლობა ასეთი იქნება: თავმჯდომარეთ ვინიჩენკო, სტეშენკო—ხალხის განათლების სეკრეტარათ. სავჩენკო ბელსკი—მიწის საქმეების გამგეთ. მის თანაშემწეთ—მარტოსი; შულგინი ნაციონალური საქმეების გამგეთ. მის ამხანაგებათ ზილბერფარბი და მიცკევიჩი. გენერალური კონტროლი—ზარუბინი. ტუგან-ბარანოვსკი—ფინანსების სეკრეტარათ. სტებლინცკი—დრ. მთავრობასთან უკრაინის საქმეებს კომისრათ. ჩერნოვმა უარი განაცხადა მრეწველობის სეკრეტარათ ყოფნაზე. შრომის სეკრეტარის ადგილი თავისუფალია.

პეტროგრადს საფრთხე არ მოელის.

პეტროგრადი. 21 აგვისტო. გენერალურ შტაბის გენერალმა რომანოვსკიმ განაცხადა: თუმცა რიგის მიდამოებში მდგომარეობა სერიოზულია, მაგრამ ეს მაინც არ წარმოადგენს საფრთხეს პეტროგრადისათვის, რადგანაც მალე შემოდგომა დაიწყება და სიშორის გამო ვერ შეეძლებენ პეტროგრადამდის მოსვლას. დესანტი რომ გადმოესხათ—მაშინ იქნებოდა ნამდვილი საფრთხე—მაგრამ ამას ვერ შეძლებენ, რადგან შემოდგომა ახლოვდებაო.

ყ რ ი ლ ო ბ ა.

მოსკოვი. 20 აგვისტო. გაიხსნა ბუნების მეტყველების და ექიმების ასოციაციის ყრილობა. თავმჯდომარეობს ანუჩინი.

თავისუფლების სესხი.

პეტროგრადი. 21 აგვისტო. სახელმწიფო ბანკში და მის განყოფილებაში ხელის მოწერა თავისუფალ სესხზე უდრიდა—236 მილ. მან., კერძო ბანკებში კი—1,300 მილ. მან.

ხორბლის შეწირვა.

დვინსკი. ბობრუისკის მაზრის გლეხებმა ჯარს შესწირეს 1881 ფ. ხორბალი.

არეულობის ჩაქრობა.

ბერნი. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ჩეხიაში ქარხნებში მომხდარ მუშების არეულობა ვენგერსკის პოლკების საშუალებით ჩააქრეს. დახოცილები ბევრია. პრაგაში მოკლულია 80.

სუხომლინოვის საქმე.

პეტროგრადი. როგორც ჩვენებიდან სჩანს ანდრონიკოვს ბევრი სახელმწიფო მოღვაწენი ყოლია ნაცნობი, ქონია მათთან მიწერ-მოწერა. სხვათა შორის კოკოვცევისა და გორემიკინისთვის მიუწერია, ფინანსთა მინისტრი ბარკი უნდა დათხოვნილ იქნას სამსახურიდან, როგორც რუსეთისთვის მავნე პირიო. კარგი ნაცნობობა ქონია აგრეთვე ანდრონიკოვს რასპუტინთან. ამით აიხსნება ის გავლენა, რომელიც უმაღლეს წრეებში მას მოპოვებული ქონდა. ყველა წერილების წაკითხვა ვერ მოასწრეს; ბევრი წერილი აღმოჩნდა ანდრონიკოვსა და სხვადასხვა „სანოვნიკებს“ შორის მოწერილი. გამოქვეყნებულ იქნა სუხომლინოვის ადიუტანტის კოლომნინის ჩვენება, ის თურმე იმიტომ მოიწვია ადიუტანტათ, რომ კოლომნინი ყოფილა „ნოვოე ვრემიას“ რედაქტორის სუვორინის შვილის-შვილი. ამით სუხომლინოვს აზრათ ქონდა ამ გავლენიანი გაზეთით ესარგებლნა. როცა ეს საჭიროება აღარ იყო, მოწმეც დაითხოვა სუხომლინოვმა. მოწმე აჩვენებს, რომ სუხომლინოვს გარს ეხვივნენ ბნელი ძალებიო, მე სხვათა შორის იმის წინააღმდეგიც ვიყავი, რომ მიასოედოვი მიეღებული ყოფილიყო სამსახურში. ოჯახში ბევრს ხარჯავდენ, განსაკუთრებით სუხომლინოვის ცოლი [illegible] ბევრ ფულებს ხარჯავდა ტანისამოსის ყიდვით და საზღვარ-გარეთ სასეირნოთო. სუხომლინოვის მდივანი ბოტკოვიცი ამბობს, რომ სუხომლინოვი ბევრ ფულებს ხარჯავდა და მას ბნელ ძალებთან ჰქონდა კავშირიო. გამოქვეყნებულ იქნა სუხომლინოვის წერილი, რომელიც მას მიუწერია გენ. იანუშკევიჩისათვის. წერილი ეხება ტეხნიკურ კითხვებს და ჯარის ოფიცრების შემადგენლობას. სხვათა შორის წერილში ისიც არის აღნიშნული, რომ სუხომლინოვი არ ეპყრობოდა კარგათ სახელმწიფო დუმას. გამოქვეყნებულ იქმნა განსვენებული ბერეზოვსკის ჩვენება. ის თურმე აფრთხილებდა სუხომლინოვს, რომ მას კავშირი შეეწყვიტა ისეთ ბნელ პიროვნებებთან, როგორიც იყვნენ ალტშილერი და მიასოედოვი. სხდომის ბოლოს სასამართლო შეეხო იმის გარკვევას, თუ რა მიზეზით განშორდა სუხომლინოვის მეუღლე პირველ ქმარს ბუტოვიჩს. სუხომლინოვისა ამბობს, რომ ჩემს პირველ ქმართან ცხოვრება შეუძლებელი იყოო. ამის საბუთებიც მოჰყავს.

ომის დეპეშები.

პეტროგრადი. 22 აგვისტო. 21 აგვისტოს ჩვენმა ჯარმა ქ. რიგა დასტოვა, ააფეთქა უსტ-დვინის სიმაგრეები, მდ. დვინის ხიდი და ჩრდილოეთისაკენ დაიხია. პერნოვის სამხრეთით სოფ. ჰაინაშე; კეშკულს და პიდრას მტრის გემები ყუმბარებს უშენენ. იქსკიულის მიმართულებით გერმანელები განაგრძობენ იერიშების მოტანას, იგი ვალდენროდე-პსკოვის გზატკეცილის ჩრდილოეთით და კრაიცის აღმოსავლეთით წინ მოიწევს და დვინის პოზიციებს უვლიან. მდ. ეგელიზე მტერმა ჩვენი ჯარები დაამარცხა, ფრონტი გაარღვია და ვალდენროდე ხელში ჩაიგდო. ჩვენი ჯარი ჩრდილოეთისაკენ იხევს. აგრეთვე ჩრდილოეთისაკენ იხევენ მილდენ რიბნაკ-კრონცენის რაიონებში. თავზარ დაცემული ჯარი უთავბოლოთ პსკოვის გზატკეცილით ბილდერ ლინგსგოფის გზისკენ იხევენ. დვინის ფრონტზე საარტილერიო სროლაა.

რუმინიის ფრონტზე, სლობოძეიას რაიონში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე ჩვეულებრივი სროლაა.

კავკასიის ფრონტზე ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა.

პარიზი. 21 აგვისტო. მდ. ენის ფრონტზე, სერნისა და იურტებიზას შუა მტერმა 4 იერიში მოიტანა, მაგრამ ოთხჯერვე იერიშები მოვიგერიეთ. მდ. მაასის მარჯვენა ნაპირებთან საარტილერიო სროლამ სასტიკი ხასიათი მიიღო.

რომი. 21 აგვისტო. ვაინზიცასა და მონტე-გაბრიელის მიდამოებთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ბარ ტოკაცოს ფრონტზე წინ წავიწიეთ.

ახალი ამბები

ჯარისკაცთა ოჯახების დახმარება. როგორც ვიცით, სახელმწიფო დახმარებას მხოლოდ სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახები იღებდენ. კავკასიის ჯარის ცენტრმა ასეთი მდგომარეობა არა ნორმალურათ იცნო და შუამდგომლობა აღძრა დროებით მთავრობის წინაშე, რათა სახელმწიფო დახმარება მიეცეს არა სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახებსაც.

◆ **არჯევანიძის სკოლაში,** წაღვერის ტყეში სეზონი დასრულდა 20 აგვისტოს. სკოლაში იმყოფებოდა 32 ბავშვი: 24 ვაჟი და 8 ქალი, მათ შორის ქართველი იყო 12, სომეხი 8, რუსი 6, პოლონელი 3, გერმანელი 2 და ებრაელი 1. 28 ბავშვი იყო თფილისიდან, დანარჩენი ქუთაისიდან, ჭიათურიდან, ხაშურიდან და ბორჯომიდან. თფილისის თვითმართველობა სკოლაში ინახავდა თავის ხარჯით ქალაქის 13 ღარიბ მოწაფეს. დღის განმავლობაში ბავშვებს ართობდენ ხელმძღვანელები: ძერწვით, ხატვით, ქსოვით, გიმნასტიკით, მოძრავი თამაშობით, გალობით და მუსიკით. ხელმძღვანელობდენ: თვით არჯევანიძე, ო. ი. შარაშიძის ქალი, ი. გ. პეტროვი, ა. გ. ციმაკურიძე და ნ. ყ. ნიორაძე. ზაფხულის განმავლობაში ბავშვებმა ინახულეს ბორჯომი, ბაკურიანი და სოფ. მზეთა-მზე. ბავშვები შესამჩნევათ მოკეთდენ. წონაში მოიმატეს 6—18 გირვანქამდის. ერთი ბავშვის შენახვა ზაფხულის განმავლობაში დაჯდა 300 მანეთი.

◆ **ქალაქის გამგეობაში** გამგეობის წევრები ქალაქის თავი და მისი მოადგილენი ამ ჟამად ეცნობიან, თუ რა მდგომარეობაშია გამგეობის სხვადასხვა განყოფილებები. ამ დღეებში გამგზავრებიან ავჭალის წყალსადენის დასათვალიერებლად. გამგეობაში აღძრა აგრეთვე საკითხი ტრამვაის ზოგიერთ მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატების შესახებ.

◆ **ქალაქის საბჭოდან გასვლა.** ქალაქის საბჭოს დადგენილების გამო, რომ მილიციაში მოსამსახურეს არ შეუძლია იმავე დროს იყოს საბჭოს ხმოსანიც, მილიციის უფროსი ამხ. ი. კაჩუხოვი თავს ანებებს ხმოსნობას.

— ქალაქის გამგეობის წევრთა სხდომები მოხდება კვირაში ოთხჯერ; ორშაბათს და პარასკევს დილის 1 საათზე, ხოლო სამშაბათსა და ხუთშაბათს—საღამოს 8 საათზე.

◆ **საქონლის ჭირთან ბრძოლა.** კავკასიის სამოქალაქო უწყების საექიმო ნაწილის საბჭომ დაადგინა გაფართოებულ იქნას ზურნაბადის საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატის დასამზადებელი სადგური და მოეწყოს ასეთი სადგური ქუთაისში. შრატის საჩქაროთ დასამზადებლად კი უნდა მოეწყოს მოძრავი სადგურები იმ რაიონებში, სადაც საქონლის ჭირი მძვინვარებს. საბჭომ საჭიროთ სცნო, აგრეთვე საექიმო-სანიტარულის [illegible] ქუთაისის გუბერნიიდან [illegible] განყოფილება.

◆ **ახალი საფოსტო** [illegible] განყოფილება. სოფ. კულაშის აღმასრულებელი კომიტეტი ატყობინებს კავკასიის საფოსტო ოლქის მმართველობას, რომ ქ. სამტრედიიდან ს. კულაშში ტელეგრაფის მავთულის გასაყვანათ საჭირო მასალები, (ბოძები და სხ.) უკვე დამზადებულია და სთხოვს მმართველობას მიიღოს საჩქარო ზომები პირობის თანახმათ ს. კულაშში საფოსტო განყოფილების მოსაწყობათ.

◆ **გუბერნიის კომისართა და ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის რწმუნებულთა ყრილობა,** რომელიც უნდა შემდგარიყო 28 აგვისტოს, გადაიდო 4 სექტემბრისათვის.

◆ **ჯარისკაცთა თავგასულობა.** მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა 22 აგვისტოს სხდომაზე მოისმინა ავჭალის აღმასრულებელ კომიტეტის განცხადება, რომ ადგილობრივი ჯარისკაცები ანადგურებენ მცხოვრებთა ბაღებსა და ვენახებს. აღმასრულებელ კომიტეტმა დაჰგმო ჯარისკაცთა ეს სამარცხვინო მოქმედება და წესიერების აღსადგენათ საჭიროთ ცნო სასტიკი ზომების მიღება. საქმის გამოსარკვევათ ავჭალაში გაიგზავნა აღმ. კომიტეტის ორი წევრი, რომლებსაც დაევალა აგრეთვე შეაგონონ ჯარისკაცებს მათი მოქმედების მავნებლობა.

◆ **ლოტოს თამაშის აკრძალვის** გამო რესტორანების, კლუბების და სხვა გასართობ დაწესებულებათა პატრონებმა შუამდგომლობა აღძრეს ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ ნებადართულ იქნას ლოტოს თამაში. გამგეობამ უარჰყო ეს შუამდგომლობა.

◆ **შემოწირულებათა შეგროვება.** სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახების სასარგებლოთ 12 აგვისტოს გამართულ შემოწირულებათა შეგროვებიდან წმინდა შემოსავალი დარჩა 730 მან. 10 კ.

◆ **თფ. ქალთა უმაღლეს კურსების** საექიმო ფაკულტეტზე შესვლელთა თხოვნების მიღება უკვე დასრულდა 15 აგვისტოს.

◆ **სამხედრო ავტომობილები.** ვინაიდან სამხედრო ავტომობილებს ხშირათ კერძო საქმისათვის იყენებენ, მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი წინადადებას აძლევს ავტომობილების მეთვალყურე კომისარებს დაიწერონ იმ ავტომობილების ნომრები, რომლებიც პირდაპირ დანიშნულებას არ ემსახურება.

◆ **საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებულ** სტუდენტებს, რომლებიც რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში შევიდნენ, სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაუდვეს 1 ოქტომბრამდე.

◆ **„თავისუფლების სესხის“** სასარგებლოთ შემოწირულებათა შეგროვების მომწყობ კომისიაში მ. და ჯ.-კ. დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა აირჩია გაბრიელოვი, სიდენკო, ანდრიაშვილი, მირიმანოვი და რიაბოკობილოვი.

◆ **პროვოკატორი.** ფოსტა ტელეგრაფის მოხელე ოლდერან დაბელოვი პროვოკატორი აღმოჩნდა. იგი ამ ჟამათ პიატიგორსკში იმყოფება. უკვე მოახდინეს განკარგულება მისი შეპყრობის შესახებ.

◆ **ლექცია.** დღეს ვერის მუშათა კლუბში (უდელის ქ. № 3) დანიშნულია ლექცია ქართულს და რუსულს ენაზე. თემა: „დამფუძნებელი კრება და მოსკოვის თათბირი“.

◆ **სამგლოვიარო წერილები.** სამტრედიის რაიონის მასწავლებელთა კავშირის გამგეობა, აღშფოთებული, ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს თავისუფლებისათვის დაუღალავ მებრძოლის და ახალი სკოლის იდეალების დარაჯის ამხ. ილია ქუთათელაძის ვერაგულად მოკვლის გამო.

— მივიღეთ ნიკო გვაზავასაგან სამგლოვიარო წერილი, რომელშიაც ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ნაძირალების მიერ ამხ. ილიკო ქუთათელაძის ვერაგულათ მოკვლის გამო.

◆ **ცაგერი.** საგუბერნიო კომისარს დეპეშით ატყობინებენ: „ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების მახლობლათ, სადაც მილიციონერების სადარაჯოა, თავი მოიყარა ხალხმა, რომელიც ცდილობდა განთავისუფლებინა დაჭერილი 2 ქურდი; მოხდა შეტაკება მილიციონერებსა და ხალხს შორის. სროლა დიდ ხანს გაგრძელდა. ფოსტის შენობის კედლები დავრეტილია. ბედათ გადარჩა მორიგე ფოსტის მოხელე. ვშიშობ, ფოსტას არ დაიცვენ. ადგილობრივი ადმინისტრაცია უმოქმედოთ არის. საჭიროა ჯარისკაცთა რაზმის გამოგზავნა“.

◆ **მეორე დეპეშა იმავე ცაგერიდან.** ესროლეს კომისარს და მილიციის უფროსს, როდესაც მოლაპარაკება იმართებოდა რევოლიუციისათვის საშიშ პიროვნების მათე წიქორიძის განსათავისუფლებლათ. („სოც. დემოკრატი“).

◆ **ხალხური კონცერტები.** დასავლეთ საქართველოს ქართულ ხალხურ მომღერალთა გუნდის მიერ ძმებ ლოლუას ლოტბარობით გამართული იქნება ამ დღეებში რამდენიმე ფრიად საყურადღებო კონცერტები. გუნდი შეასრულებს სხვადასხვა ხასიათის ხალხურ სიმღერებს.

◆ **ტყეების დაცვა.** ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის განმარტებით ტყეებით სარგებლობა და მათი დაცვა მინდობილი აქვს საადგილ-მამულო კომიტეტებს.

◆ **ამიერ კავკასიის ტეხნიკურ ძალთა კავშირში.** თანახმად ტეხნიკთა ჯგუფის განცხადებისა გიდრო ტეხნიკთა მოსამზადებელ კურსების გახსნის შესახებ, კავშირმა დაადგინა: ინჟინერ სპეციალისტთა და ტეხნიკთა ჯგუფთან შეთანხმებით შეიმუშაოს პროგრამა აღნიშნული კურსებისა და პროგრამის შე- [illegible] სები, ხელმძღვანელობა კავ[illegible]ლო სექციისა, ყოველგვარი ცნობების მიცემა და კურსებზე შემსვლელთა ჩაწერა მინდობილი აქვს კავშირის წევრს ხარიტონოვს, რომელიც კახეთის რკინის გზის სამმართველოში მსახურობს.

კრებები და მიტინგები.

— დღეს, საღამოს 7 საათზე ნაძალადევის თეატრში მოხდება შეერთებული კრება რ. ს.-დ. მ. პ. თფილისის ყველა რაიონების კოლექტივის, თფილისის კომიტეტისა და საოლქო კომიტეტის წევრებისა, გასარჩევია მეტად საყურადღებო კითხვები და ვსთხოვთ ამხანაგებს აუცილებლათ დაესწრონ კრებას და დანიშნულ დროზე გამოცხადდენ.

— ხვალ, დილის 10 საათ., სახალხო სახლში შესდგება. სათადარიგო ჯარისკაცთა ცოლებისა და დედების კრება.

— ხვალ, ქალთა მე-3 გიმნაზიის შენობაში დანიშნულია მე-3 სამილიციო უბნის რ. ს.-დ. მ. პ. წევრთა კრება. გასარჩევია სხვადასხვა კითხვები. ვსთხოვთ ამხანაგებს, ვისაც აქვს დარჩენილი წიგნაკები (ჩეკები) ფული და სხ. თან მოიტანონ კრებაზე.

პროვინციის ქრონიკა.

სად. სუფსა (გურია). კვირას 30 ივლისს ადგილობრივ მარქსისტ. მოწაფეთა ჯგუფის თაოსნობით ლექცია წაიკითხა ბიქტორ თევზაძემ აგრარულ საკითხზე, ხალხი ბლომათ დაესწრო.

— ეს ერთი ხანია აქეთ წვიმებია. სუფსის რაიონს დიდი ზარალი აქვს ამ წვიმებიდან.

— ამ ერთი კვირის წინათ ვაგონი სიმინდის დატვირთვა ღირდა 30 მან. სასურსათო სარაიონო კომიტეტმა 40 მან. გახადა 12 აგვისტოს ვაგონის დამტვირთველებმა მუშებმა განაცხადეს, რომ ხუთ თუმან ნაკლებ არ შეიძლება დატვირთვა ვაგონისათ და სასურსათო კომიტეტი იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა ეს მოთხოვნა.

— სუფსის რაიონულ ს. დ. კოლექტივმა გახსნა პარტიული წიგნის მაღაზია „სინათლე“ ასეთი მაღაზიის გახსნა სუფსის რაიონულ კოლექტივს ჯერ კიდევ 1916 წელში ქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ დღემდის ვერ მოახერხა.

სოფ. დვაბზუ (გურია). ჩვენი სოფლის საკრედიტო ამხანაგობამ შეიძინა საკუთარი შენობა.

— მომხ. საზ. „სინათლემ“ შეიძინა საკუთარი მიწა და შენობა.

— საკრედიტო ამხ-ბის შენობას დავით ალექსის ძე [illegible] 500 მან.

ს. ბაში ([illegible]). აქ გამართეთ წარმოდგენა ადგილობრივ უფასო სამკითხველოს სასარგებლოთ. წარმოდგენა კარგათ ჩატარდა. ქალაქს აქეთ გამოფხიზლება ემჩნევა. სიამოვნებით კიდებენ ხელს საზოგადო საქმეებს.

ქახური (გურია). კვირას, 6 აგვისტოს, შესდგა კრება. თავმჯდომარეთ აირჩიეს ს. ჯორბენაძე, მდივნათ ბიქტორ ხელაძე. გასარჩევი კითხვები იყო: 1) სამკითხველოს გამგეობის არჩევა; 2) ეკლესიის „სტაროსტის“ არჩევა. სამკითხველოს გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა სიმონ ჯორბენაძე. წევრებათ ძმები: სევასტი დოლიძე, ანტონ დუდუჩავა. „სტაროსტის“ არჩევა ვერ მოხერხდა ამ თანამდებობაზე ყველამ უარი სთქვა.

გუდაუთი. აქ 12 და 13 მარიამობისთვეს სახალხო სახლში ამხ. მ. წულუკიძემ წაიკითხა მოხსენება სოციალ-დემოკრატიული თეორია და პრაქტიკა რუსულ-ქართულ ენაზე. ლექცია აქ პირველათ იკითხება. ძალიან კარგს იზამს ამხ. წულუკიძე, რომ თვეში ერთხელ მაინც ჩამოვიდოდეს სოხუმიდან და წაიკითხავდეს ლექციებს გუდაუთში. ლექცია უფასო იყო და ხალხიც ბლომათ დაესწრო.

სოფ. ხცისი (გორის მაზრა). კავკასიის სამოსწავლო ოლქის კომისარიატმა ამ დღეებში მოწერილობა გამოუგზავნა ხცისის მცხოვრებთ პირველ დაწყებითი სამინისტრო სასწავლებლის გახსნის ნებართვის შესახებ. სოფელი სიხარულით შეხვდა ამ ამბავს. [illegible] ხცისის საზოგადოება შესდგება 36 სოფლისაგან და ეს ერთი სასწავლებელი ვერ ეყოფა. საჭიროა [illegible] და [illegible] გაიხსნას ამ ტიპის სასწავლებლები.

არზრუმი. 12 აგვისტოს, ღამის 8 საათზე, ეტაპის უფროსის შენობაში, მოხსენება წაიკითხა მიმდინარე მომენტზე თფილისიდან ახლათ ჩამოსულმა ამხ. აგარონოვმა. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. მონაწილეობა მიიღეს ბოლშევიკებმაც.

— 12 აგვისტოს მე 6 კორპუსის სამხედრო სასამართლომ მე-13 კავკასიის პოლკის ჯარისკაცს გრინოვს 4 წლით კატორღა მიუსაჯა.

სწავლა-განათლების გარშემო.

რუსეთის ძლევამოსილმა რევოლიუციამ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყოველი დარგის ძველი წესები შეარყია და მისი სრული განახლება საჩქაროდ დღიურ წესრიგში დააყენა. ერთს ასეთს მნიშვნელოვან სფეროს რუსეთის ცხოვრებაში შეადგენს სწავლა-განათლების საქმე. ის ძველი მთავრობის მიერ ვიწრო ჩარჩოებში იყო მოქცეული. წესი სწავლა-აღზრდისა და პოლიტიკა ამ დარგში სავსებით შეეფერებოდა ბიუროკრატიული მთავრობის ინტერესებს; შეიძლება ითქვას, ის მას ემსახურებოდა. იქ არ არსებობდა ეგრედ წოდებული თავისუფალი აღზრდა. არ იყო დაცული ამ აღზრდისაგან გამომდინარე პედაგოგიური პრინციპები. ყოველი თვით-მოქმედება, ყოველი ინიციატივა, როგორც მასწავლებლის აგრეთვე მოწაფის დასაწყისშივე ახშობოდა. ნებით სუსტი, უპრინციპო, მშიშარა, თვითმოქმედებას მოკლებული,—აი ვის აძლევდა რუსეთის ძველი სკოლა. ის გვაძლევდა ჩვეულებრივ უსულგულო მოხელეებს. განთავისუფლებულმა რუსეთმა კი ყოველივე ეს ძირ-ბუდიანა უნდა შესცვალოს და სწავლა-აღზრდის საქმე სრულ განახლების გზას დააყენოს. მან უნდა შექმნას ნამდვილი მოქალაქე, მაგარი ხასიათის, მტკიცე ნების, სპეტაკი სულის, უშრეტელი გრძნობის და თვითმოქმედების უნარით აღჭურვილი. ერთი სიტყვით თავისუფალი მოქალაქე თავისუფალი რუსეთისთვის—აი ვის უნდა ქმნიდეს, ვის უნდა იძლეოდეს ამჟამინდელი სკოლები. უმთავრესი ფაქტორები აღზრდისა: ოჯახი, სკოლა და საზოგადოება ერთბაშად იცვლება. თავისუფალი მშობელი, თავისუფალი ოჯახი—აი ის რაც თავის დაღს დაასვამს თავისუფალი რუსეთისათვის საჭირო ნიჭს, სკოლაში მიმავალ ბავშვს, ამ მომავლის დიდ მოქალაქეს. თავისუფალი სკოლა კი ამ გვარ პირობებში აღზრდილ ყრმას თვითმოქმედების და ბუნებრივ ლტოლვას შემოქმედებისაკენ არა თუ კლავს, პირიქით მას ხელს უწყობს და საჭირო მიმართულებით აწვრთნის. მესამე ფაქტორი აღზრდისა — თავისუფალი საზოგადოება საჭირო დაღს დაასვამს მომავალ მოქალაქეს.

ამ ნაირად სწავლა-აღზრდის სამივე მთავარი ფაქტორი რუსეთის რევოლიუციის წყალობით რადიკალურად იცვლება.

ამ მხრით არსებითი ცვლილება უნდა მოხდეს მთელი რუსეთის ყველა ტიპის სკოლებში, რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს ის, მაგრამ წვრილ ერთა სკოლაში გარდა აღნიშნულ ცვლილებათა უნდა მოხდეს ცვლილება სულ სხვა გვარი. ეს ცვლილება წამოაყენა რევოლიუციამ და მას ეწოდება სკოლების ნაციონალიზაცია. ეს კითხვა ყველა რუსეთის წვრილ ერთათვის დიდი კითხვაა. ის თხოულობს დიდ ცოდნას, ენერგიას და გამოცდილებას. ამ მხრივ თითქმის ყველა წვრილი ერი ერთნაირ მდგომარეობაშია, მაგრამ მე მინდა ამ შემთხვევაში შევეხო მხოლოდ ჩვენი, ქართველების მდგომარეობას. წინათ ბევრისათვის და ეხლა ყველასათვის აშკარა გახდა, რომ ჩვენ ვერ ვართ ამისათვის მომზადებული იმ აზრით, რომ არ შეგვიძლია ეხლავე ნორმალურ მდგომარეობაში ჩავაყენოთ სწავლის საქმე. სავალალო, სამწუხარო და კიდევ მეტი, უნუგე-

შოა მდგომარეობა არა თუ გიმნაზიის მეოთხე კლასიდან ზევით განყოფილებებში, არამედ მის ქვევითაც,—დაწყებული სახალხო სკოლების პირველ განყოფილებიდანაც კი. რაში გამოიხატება ეს უნუგეშო მდგომარეობა?— ყველა მასში, რაც მთავარია სწავლა-აღზრდის საქმეში,—ეს მასწავლებელია. ის, როგორც ვიცით, „სულის სკოლის“. და აი უბედურობაც იმაშია, რომ ეს „სული“ არ ვარგა, რომ ის დაკნინებულ-დაჩიავებულია. მეორე, რომ არ მოგვეპოვება საჭირო და ვარგისიანი სახელმძღვანელოები უბრალო ელემენტარულ საგნებშიაც კი. რაა მიზეზი დაკნინებისა და თვით ამ სულის უვარგისობისა? აქ ცოტა უნდა შევჩერდე და ყურადღება მივაქციო მასწავლებელთა ახლო წარსულს...

ბევრში გაკვირვებას იწვევდა მასწავლებელთა უმოქმედობა, მათი შეუკავშირებლობა, უსულგულობა და უენერგიობა. ამას მრავალი დაბრკოლებები ელობებოდა წინ მეფის მთავრობის დროს პოლიტიკური მდგომარეობის სახით. ეს ერთი გასამართლებელი მიზეზთაგანია. მაგრამ რას შვრებოდა ჩვენი მასწავლებლების უმრავლესობა, რა ენერგიას და ინიციატივას უნარს იჩენდენ მასწავლებლების დიდი უმრავლესობა, როდესაც იშოვეს კავშირის ნებართვა? მე ვიტყვი, ცოტას და ძლიერ ცოტას. და ეს ცოტაც მრავალ ალაგას არა სახალხო მასწავლებელთა ზეგავლენით კეთდებოდა, ეს, როგორც ვთქვი, დიდ გაკვირვებას იწვევდა. და მართლაც ჩვენ ვხედავდით იშვიათ მჭიდრო კავშირებს და ენერგიულ მუშაობას წერა-კითხვის არ მცოდნე უბრალო მოხელე მუშებში; მათ აკავშირებდა აუტანელი ეკონომიური მდგომარეობა, მაგრამ სახალხო მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობა უბრალო მუშაზე უკეთესია? მე ვიტყვი, რომ უარესია და ამაში დამეთანხმება ყველა, ვისაც გაუვლია მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის ეს ეტაპი. თუ უარესი იყო ნივთიერი მდგომარეობა მუშასთან შედარებით, მით მეტი ენერგიული და ნაყოფიერი უნდა ყოფილიყო მათი მუშაობა კავშირში; მით მეტი სიცხოველით, მეტი ხალისით უნდა შეკრებულიყვნენ ამ კავშირის გარშემო ეს ლოღიკური შედეგი უნდა ყოფილიყო მათი ნივთიერი მდგომარეობისა, მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვხედავთ და ჩემის აზრით ერთათ ერთი მიზეზი ამისა იყო სწავლა-აღზრდის ის უკუღმართი წესი, რომელშიაც აღზრდილია ყველა მასწავლებლები და რომელსაც აწარმოებდა კასსო, მისი წინაპარნი და მემკვიდრენი. წერილის დასაწყისშივე შევნიშნე თუ როგორს უენერგიოს, უინიციატივო წევრებს აძლევდა ძველი სკოლა ძველ რუსეთს.

ის სუსტი ნების, მშიშარა, უთვითმოქმედო და უსულ-გულო წევრებს იძლეოდა. ასეთსავე პირობებში იზრდებოდენ ის მასწავლებლები, რომლებიც დღეს ჩვენ გვყავს და რომლებიც ჩვეულებრივი მშიშარა მოხელეებიდან არაფრით განსხვავდება. ამას არავის შეურაცხყოფათ არ ვამბობ. ეს ფაქტია; ეს მწარე სინამდვილეა რასაც, როგორც ვსთქვი თავისი პოლიტიკური და სოციალური მიზეზები აქვს. ასეთ პირობებში აღზრდილ მასწავლებლებს უნდა ჩაბარდეს დღეს ნაციონალური სკოლები. სხვა გამოსავალი საშუალება არ არის. ამას დღეს გრძნობს ბევრი სახალხო მასწავლებელი, რომლებსაც ჯერ კიდევ არ დაჰკარგვიათ უნარი მდგომარეობის ანგარიშის გაწევისა. ამ დღეებში ამ მხრივ ჩვენი მდგომარეობის დამახასიათებელი შემთხვევას მოწამე გავხდი. ერთხელ სახალხო და საშუალო სკოლების მასწავლებლები ერთად თავმოყრილნი, რომელნიც გოდებდენ და ერთმანეთს შესჩიოდენ: „რა ვქნათ, სრულიად მოუმზადებელი ვართ, ჯერ თვითონ უნდა ვისწავლოთ და შემდეგ სხვას ვასწავლოთ, არ გვაქვს მომზადება, არ გვაქვს სახელმძღვანელოები, არ ვიცით უბრალო ტერმინებიც კი“... აი მწარე სინამდვილე, რომელიც ახასიათებს დღეს ჩვენს მდგომარეობას, რა გზას უნდა მიმართონ ამ შემთხვევაში მასწავლებლებმა? ჩემის აზრით შემდეგს: ამ საქმის გარშემო ეხლავე უნდა დაფუძნდენ კავშირის მთავარი და ფილიალური განყოფილებები.

ამგვარად ყველა აქტიურად უნდა აამუშაონ. უნდა შეიმუშაონ გეგმა მომავალი წლის მეცადინეობისა. პირველ წლის უსათუოდ იმ სახელმძღვანელოებით მოუხდებათ მეცადინეობა, რომელიც მოგვეპოვება კინტი-კუნტათ. თვით მასწავლებლები უნდა იყვნენ „კანტროლი“ ერთი მეორესი, უფრო სწორად რომ ვსთქვათ ერთი მეორის ნაკლულოვანებების აღმომჩენები. ამ მიზნით ყოველი საზოგადოების (ეხლა თვითეულ საზოგადოებაში საშუალოდ 4—6 სკოლაა, 15-დე მასწავლებლით) მასწავლებლები ერთი მეორის მეცადინეობაზე უნდა ესწრებოდენ, ერთი მეორეს უსწორებდენ, თავის დაკვირვებას უზიარებდენ და სხვა. მხოლოდ კვირაში ერთხელ ყველანი უნდა იკრიბებოდენ და მთელი კვირის შთაბეჭდილებებს და დაკვირვებებს ერთმანეთს უზიარებდენ. ამგვარი კრებები მთელი წლის განმავლობაში უნდა ხდებოდეს. წლის ბოლოს კი ერთი კოლექტიური გეგმა სწავლის წესისა დგებოდეს. ამის შემდეგ უნდა მოხდეს საერთო სამაზრო თუ საგუბერნიო კრება, სადაც ყველა დაგროვილი მასალა განხილვა და გამომუშავდება, ერთნაირი წესი (მეთოდი) სწავლისა, რომელიც შემდეგ წლებში გაადვილებს საქმეს. ასეთი დაკვირვებებით შეგროვილი მასალებით შედგება ახალი სახელმძღვანელოები და სხვა. უეცრივ რაციონალურად სწავლის მოწყობა რასაკვირველია, შეუძლებელია. მაგრამ, მე მგონია, თუ ამ გვარ საშუალებებს მიმართავენ, მეორე წელი მეტ ნაყოფს მოგვცემს პირველთან შედარებით, მესამე მეორესთან შედარებით და ა.შ. ეს, რასაკვირველია, იმ პირობით, თუ მასწავლებლობა საერთოდ ძველი აღზრდით ნაანდერძევ უსულგულობას უკუ აგდებს და საქმეს ენერგიით მოეკიდება. რომ მასწავლებლები მართლა გამოფხიზლდენ და მდგომარეობას შესაფერი შრომით შეხვდენ ამისთვის თვით კავშირმა უნდა მიიღოს ზომები, რომ ზარმაცთ თავისი ადგილი ეჩვენოს. რომ ყველამ გაათკეცებული ენერგიით იღვაწოს, მაშინაც ძნელია სანახევროდაც საჭიროების დაკმაყოფილება. ამ გვარად საქმე ქვევიდან თვით მასწავლებლებმა უნდა დაიწყონ და მათვე უნდა მოაგროვონ ის მასალები, რომლებიც დაედება საფუძვლად მომავალ სახელმძღვანელოებს და სწავლის ახალ წესებს.

ამ მოკლე ხანში აპირებენ მასწავლებელთათვის საგანგებო კურსების მოწყობას. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. კურსებს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. მაგრამ რაც უნდა დიდი იყოს მისი მნიშვნელობა, მარტო მაზე იმედების დამყარება შეუძლებელია; მით უფრო რომ არ მოგვეპოვება საკმაო რიცხვი მომზადებული ლექტორებისა. უსათუოდ თვით მასწავლებლებმა ერთიმეორის დახმარებით, რჩევით, გამოცდილების გაზიარებით და საგანგებო მზადებით გადალახონ ყოველგვარი დაბრკოლება.

დღეს ყველანი გატაცებული ვართ რევოლუციით და პოლიტიკური თავისუფლებით. ეს ასეც უნდა იყოს. ყველა უნდა ვცდილობდეთ მის გამაგრებას და შენარჩუნებას. უმისოთ ყველაფერი ფუჭია, მაგრამ პარალელურად რევოლუციაზე ზრუნვასთან ერთად უნდა ვაწარმოებდეთ შემოქმედებითი მუშაობას ცხოვრების ყოველ დარგში და მით უფრო სწავლა-აღზრდის საქმეში.

რაფიელ აბანელი.

დაშნაკელების „საქმენი და სიტყვანი“...

დღემდე თურმე დაშნაკელები ბევრ საქმე აკეთებდენ და ცოტას ლაპარაკობდენ..

გუშინწინდელი „კავკაზსკოე სლოვო“ სწერს: დაშნაკცუტიუნს იმიტომ ჰყავს ბევრი მტერი, რომ ეს ერთად ერთი ძლიერი პარტიაა. ამიტომ აყენებენ ამ ძლიერი და გავლენიანი პარტიის წინააღმდეგ მისი ურიცხვი მტრები ამდენ ბრალდებებს, მაგრამ როგორც დაშნაკელთა გაზეთის „ჰორიზონს“ უთქვამს ამ ბრალდებებში ერთი მართლაც საფუძვლიანი ბრალდება ყოფილა—„დაშნაკელების პარტია ამდენ ხანს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა თავის მიმდევართა პარტიულად აღზრდას, განსაკუთრებით გლეხებს. იმ დროს, როცა სხვა პარტიები და განსაკუთრებით კი სოციალდემოკრატია, ფრიად პროპაგანდას ეწევიან და ავრცელებენ ლიტერატურას, „დაშნაკცუტიუნის პარტია ამას არ აქცევდა შესაფერ ყურადღებას. რა თქმა უნდა, ამის გასამართლებელი საბუთიც აქვს დაშნაკცუტიუნს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება და ეს ფაქტი საუკეთესო იარაღია მოწინააღმდეგეების ხელში დაშნაკცუტიუნის წინააღმდეგ მიმართული. ამის მიზეზი უპირველესად უნდა ვეძიოთ იმ არა სასურველ პირობებში, რომელშიაც უკანასკნელ ხანებამდე დაშნაკცუტიუნს უხდებოდა მუშაობა და აგრეთვე იმაშიც, რომ დაშნაკცუტიუნის პარტია არის საქმიანობის, პრაქტიკული მოღვაწეობის პარტია. სადაც საქმიანობაა, იქ ლაპარაკი ზედმეტია. საქმის ხალხნი ცოტას ლაპარაკობენ“.

რა იყო ეს არა სასურველი პირობები, რომ მხოლოდ ამ „სოციალისტურ“ პარტიას საპროპაგანდო მუშაობაზე ხელს უშლიდა?

შეიძლება ნივთიერი ხელმოკლეობა უშლიდა ხელს ამ პარტიას, მაგრამ ეს ხომ სინამდვილე არ იქნება, ვინაიდან სომხის ბურჟუაზიის ჯიბე მუდამ ღია იყო „სოციალისტური“ დაშნაკცუტიუნისათვის? 50 ათასი მანეთი თფილისის საქალაქო არჩევნების საწარმოებლადაც კი მიიღო დაშნაკცუტიუნმა, სხვათა შორის.

ასე რომ, საშინაო მოღვაწეობის პროგრამა დაშნაკცუტიუნმა გაარკვია: დღემდე საქმეს ვაკეთებდით, პრაქტიკულ ნიადაგზე ვმოღვაწეობდით; დღეიდან—ვილაპარაკებთ.

მხოლოდ არაფერს არ ამბობენ იმის შესახებ, თუ როგორ აპირებენ საგარეო საკითხების მოწყობას—ძველებურათ დიპლომატიის გზით ივლიან, თუ სხვა გზას გამონახავენ?

იქ უფრო მეტს ილაპარაკებენ, თუ „საქმეს“ გააკეთებენ?..

სრულიად რუსეთის მუშათა კოოპერატივების პირველი ყრილობა.

(რეზოლიუციები).

მიმდინარე მომენტი.

მუშათა კოოპერატივების ასაღორძინებლად, პროლეტარიატის განმანთავისუფლებელი ბრძოლის საწარმოებლათ და აგრეთვე რევოლუციით მოპოვებული თავისუფლების შენარჩუნება მოითხოვს მუშათა კლასის და რევოლუციური დემოკრატიის შეკავშირებას. ყრილობის აზრით მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები დარაჯათ უნდა უდგნენ რევოლუციას და გავლენას ახდენდენ დროებით მთავრობაზე იმ მხრით, რომ მან ცხოვრებაში გადადგას რევოლუციონური ნაბიჯები. ამიტომ ყრილობა მოუწოდებს მუშათა კოოპერატივებს) მხარი დაუჭირონ საბჭოებს. ამასთანავე ყრილობა პროტესტს აცხადებს იმათ წინააღმდეგ, ვინც საბჭოების წინააღმდეგ ყალბ ცნობებს ავრცელებენ. ყრილობა პროტესტს აცხადებს დამფუძნებელ კრების გადადების შესახებ, რასაც ისეთი დამაბრკოლებელი მიზეზები არ ელობებოდა წინ, რომელთა გადალახვა შეუძლებელი ყოფილიყო. დროებით მთავრობას ყოველთვის შეუძლია დაეყრდნოს მუშათა კოოპერატივებს, უკეთუ ის თავის დაპირებას პირნათლად შეასრულებს,—ცხოვრებაში გაატარებს ფართო სოციალურ რეფორმას, სამშვიდობო პოლიტიკას და ბრძოლას გაუწევს ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონურ ძალებს. ყრილობას არ შეუძლია უყურადღებოთ დასტოვოს ის მოვლენა, რომ ახალი მთავრობის მიერ მიღებული ზომები ისეთ შთაბეჭდილებას ახდენენ მუშებში, რომ მთავრობის დიქტატურა მიმართულია რევოლიუციონური დემოკრატიის და ჯარისკაცთა ორგანიზაციების და არა კონტრ-რევოლიუციონერების წინააღმდეგ. ყრილობა პროტესტს აცხადებს სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ რესპუბლიკანურ რუსეთში და მოითხოვს მის გაუქმებას.

ყრილობა ითვალისწინებს რა ყოველივე იმ უბედურებას, რომელიც მთელს ქვეყანას, როგორც სამეურნეო არევ-დარევით, აგრეთვე ფრონტზე შექმნილი მდგომარეობით აცხადებს, რომ უბედურობათა თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ ომის დაჩქარებით გათავებით, ამიტომ ყრილობა მოუწოდებს მუშათა კოოპერატივებს მთელი ძალ ღონით მხარი დაუჭირონ საბჭოებს და სოციალისტურ ორგანიზაციებს იმ კამპანიის წარმოებაში, რომელსაც ეწევიან უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ჩამოსაგდებათ ხალხთა თვითგარკვევის პრინციპზე დამყარებულს. ამიტომ ყრილობა მოითხოვს დროებით მთავრობისაგან დაუყოვნებლივ იმ დაპირებათა განხორციელებას, რაც მან დეკლარაციებით აუწყა ხალხს და ყოველგვარი დაბრკოლებათა მოსპობას, რომელნიც ხელს უშლიან სტოკჰოლმის კონფერენციის მოწვევას. ყრილობას იმედი აქვს, რომ ყველა ქვეყნის სოციალისტების გაერთიანებული ძალით შესაძლებელი გახდება მუშათა ინტერნაციონალის აღდგენა და ამით შესაძლებელი გახდება ნაყოფიერი ბრძოლაც ზავის დაჩქარებით მოსახლოვებლად. ყრილობა მოითხოვს სახელმწიფო საბჭოს და დუმის დაუყოვნებლივ დათხოვნას, როგორც კონტრ-რევოლიუციონური ძალების შემკავშირებელთ.

მეზღვაურთა სიმღერა.

ზღვა აგვიღელდა: ბობოქრობს,
ისვრის ვეება ტალღებსა...
ჩვენ წინ მივცურავთ, არ ვუფრთხით
ქვეშ მცურავ საშიშ ნაღმებსა...
ნურვის ჰგონია—ვემსგავსოთ
სუსტ და უსუსურ ბალღებსა!
ტანჯვის ქარ-ცეცხლში ნაწრთობებს,
ვერ გაგვტეხს პირი, მუქარა:
ჩვენს თავზე ზეცამ რისხვითა
არ ერთხელ დაიმქუხარა,—
მაგრამ შავ ძალას როდისმე
ჩვენგანმა ქედი უხარა?
ვენაცვლეთ ჩვენსა ბელადსა,
რომ აგვირგვინებს ჭაღარა:
იცის სად კლდეა, სად ნაღმი,
სად საფრთხე ელის, სად არა;
კეთილად მართავს საჭესა,—
დღემდე სწორი გზით გვატარა!
და, ჰა, ნაპირიც გამოჩნდა,
მოთინათინე, მზიანი...
ვაშ რა რიგ ტურფათ ჰყვავიან
თანასწორობის იანი!
იქ ჰპოვებს სული შვებასა,
სევდისგან დანაზიანი!
მაშ ერთხელ კიდევ მოვუსვათ,
ნავი წინ გავასრიალოთ,
შევებათ მგრგვინავ ტალღებსა,
ნიჩბები დავატრიალოთ
და ძლევის დროშა ნაპირზე
ავმართოთ, ავაფრიალოთ!

გ რუხაძე.

ომი და ზავი.

სტოკჰოლმის კონფერენცია. ცნობილი სოციალისტი ტრულსტერი ასე ახასიათებს მომავალი კონფერენციის მუშაობას: კონფერენციის აგვისტოში მოწვევას იმიტომ ვცდილობთ, რომ ამით ხელი შევუშალოთ ზამთრის სამხედრო კამპანიას. რუსეთის რევოლუცია ამაში დიდათ დაინტერესებულია. რომ ამ კონფერენციის მოწვევა შეუძლებელი საქმე იყოს, ეს იქნებოდა საქვეყნო უბედურება დემოკრატიისა და სოციალიზმისა. ამიტომ მთელი ინტერნაციონალის მოვალეობაა ამ კონფერენციის დაჩქარებით მოწვევა.

კონფერენციის მუშაობაში დელეგაციების თვალსაჩინო მონაწილეობას იღებენ. გერმანიის დამოუკიდებელი სოც.-დემ. პარტიის წარმომადგენლათ იქნება ცეტკინ. შვეიცარიის დელეგაციაში შედის ბლოხი. ბალაბანოვას ქალი და ანკერშმიდტი მთელ ქალთა ინტერნაციონალის წარმომადგენლებათ იქნებიან.

საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები ტრულსტერი და გიუისმანსი, რუსეთის დელეგატი აქსელროდი და ბოლგარიის—საკაზოვი მოწვეულ იქნენ სტოკჰოლმში ხელოსანთა საზოგადოების სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციების საოლქო კონგრესზე. ტრულსტერმა განაცხადა, რომ, მართალია, დიდი დაბრკოლებები ელობება წინ კონფერენციის მოწვევას, მაგრამ ეს დაბრკოლებანი ძლეული იქნებიან—კონფერენციაზე თითქმის ყველა ქვეყნების დელეგატები გამოცხადდებიან და საზოგადოთ შორს აღარ არის მკვიდრი ზავის დამყარების საქმეო. საკაზოვმა აღნიშნა, რომ მუშათა სურვილის წინააღმდეგ ბულგარიას ბევრჯერ მოუხდა უკანასკნელ ხანებში ომის წარმოება და სურვილიც გამოთქვა, რომ ბულგარიის მაგალითი სახელმძღვანელოთ გამხდარიყოს შვედების მუშებისთვისაო. აქსელროდმა კონგრესს სალამი უძღვნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის სახელით და სთქვა, რომ ინგლისის და საფრანგეთის მუშებმა დაჟინებით უნდა მოითხოვონ კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღები ნებართვა და მაშინ მთავრობებიც დათმობის გზას დაადგებიანო. გიუისმანსმა ბელგიის სახელით ილაპარაკა და განაცხადა, რომ დაჩქარებით ომის გათავება იმიტომაც არის საჭირო, რომ აღდგენილ იქნას ბელგია, წინააღმდეგ შემთხვევაში ბელგიისაგან ცოტა და დარჩებაო.

რუსეთის ამბები.

ყაზახები და მუშები. პეტროგრადში, „ახალი ლესნერის“ ქარხანაში ქარხნის მუშათა საერთო კრება იყო. ქარხნის გამგემ, ინჟინერმა ბოლდირევმა, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარეს სურკოვს ცხარე კამათის დროს პროვოკატორი უწოდა. ასეთივე პასუხი გასცა მას სურკოვმა. ინჟინერი გაჯავრდა, მივარდა ტელეფონს და აღელვებული ვიღაცას დაელაპარაკა. ვის ელაპარაკებოდა ის, მაშინ ვერ გაიგეს, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ქარხანას ყაზახთა რაზმი მიადგა და ქარხნის შესავალთან გაჩერდა. მათ ერთი ყაზახი გაგზავნეს ქარხანაში მუშებთან, გაეგო, თუ რა ამბავია იქ. როცა ყაზახებმა გაიგეს, რომ ქარხანაში არაფერი საშიში არ მომხდარა, სთქვეს: ჩვენი რაზმი საჩქაროთ გამოიწვიეს ქარხანაში აჯანყებული მუშების დასამშვიდებლათ, მაგრამ ჩვენ გადავსწყვიტეთ შეგვემოწმებინა,—რამდენათ მართალი იყო ეს ამბავიო. ამის შემდეგ ყაზახები თავიანთ ყაზარმაში დაბრუნდენ. ქარხნის ადმინისტრაციისათვის არც კი შეუკითხავთ, თუ რაში იყო საქმე.

— **შავრაზმელები მხნეთ მუშაობენ.** ვოლინის გუბერნიაში „მუშაკთა“ უმრავლესობა მღვდლები არიან, რომლებიც პოჩაევის რუსთა კავშირში შედიან. ზოგიერთ სოფლებში მღვდლები მოუწოდებენ ხალხს ნუ დაემორჩილებიან დროებით მთავრობას, ნუ გადაიხდიან გადასახადებს, ნუ მისცემენ მთავრობას პურს ჯარისთვის და ნურც სასოფლო სამეურნეო აღმწერთ მისცემენ ნებას მუშაობისას სოფლად. გლეხებს საქმის ვითარება არ გაეგებათ, ამიტომ ღელავენ. გლეხები ამბობენ: სანამ არ დავრწმუნდებით, რომ არსებობს დროებით მთავრობა, რომ ის არის გლეხთა და ჯარისკაცთა ინტერესების დამცველი, მანამდე არც ერთს კაპეიკს, არც ერთ გირვანქა პურს არ მივცემთ მთავრობასო. ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებმა სოფლებში მიტინგები მოაწყვეს, გლეხებს საქმის ვითარება აუხსნეს და მოუწოდეს მათ გადასახადები გადაეხადათ. გლეხებმა განაცხადეს: გადასახადსაც გადავიხდით, პურსაც გავგზავნით ჯარისთვის და აღმწერლებსაც მუშაობის ნებას მივცემთ, უკეთუ ამ შავრაზმელებს მოგვაშორებთ, მათ დააპატიმრებთო.

გაჩხრიკეს სლუცკის მონასტერი, სადაც აღმოაჩინეს დიდძალი შავრაზმული ლიტერატურა. მუშათა დეპუტატების საბჭოს მიერ დანიშნულმა გამომძიებამ გამოარკვია, რომ ამ საქმეში წილი უდევთ მონასტრის ადმინისტრაციას და ბერებს. ამიტომ მონასტრის წინამძღვარს წინადადება მისცეს თავისი ნებით მაზრიდან გადასახლდეს, ბერებს კი სხვა მონასტრებში გადაიყვანენ.

თფ. ტრამვაის მუშა-მოსამსახურენი და ძველი ქალ. საბჭო.

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ თფილისის ტრამვაი 1916 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებიდან ითვლება სახელმწიფოს თავდაცვაზე მომუშავე დაწესებულებათ და როგორც ასეთი იქ მოსამსახურეებიც სარგებლობდენ ისეთივე შეღავათით, როგორც სხვა ასეთი დარგის მუშები და ხელოსნები, მაგრამ დახეთ ჩვენს უბედურებას, ამ ერთი წლის განმავლობაში არა ერთი და ორი შემთხვევა ყოფილა იმისი, რომ ბევრი მუშათაგანი, განსაკუთრებით მოძრაობის მუშები, მოითხოვეს და კიდევაც წაიყვანეს სამხედრო სამსახურში და აი ეხლაც აგერ 14 კაცს თხოულობენ, რომლებიც ტრამვაის დირექციის და ძველი ქალაქის გამგეობის უყურადღებობის და დაუდევრობის წყალობით გამოტოვებულნი აღმოჩნდენ საერთო სიიდან, ეგ კიდევ არაფერი, ამათ კიდევ მიუმატეს 24 სხვა, რომლებიც როგორც პირველნი, არ არიან შეტანილნი განთავისუფლებულთა საერთო სიაში. მერე არ იკითხავთ რისთვის ხდებოდა და ხდება ყველა ასეთი შემთხვევები ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრებაში?

იმიტომ, რომ ტრამვაის განაგებდენ და ეხლაც განაგებენ ისეთი პირები, როგორიც ბრძანდებიან დ. ი. ყორღანოვი, პ. ერაშენკო და სხვები. ბ. ყორღანოვმა მთელი მუშა-მოსამს. ბედ იღბალი სამხედრო სამსახურიდან განსათავისუფლებელთ და განთავისუფლებულთა მიანდო ისეთ პიროვნებას, როგორიც ბრძანდებოდა უკვე მუშებისაგან გაძევებული პ. ერაშენკო. ეს ის ერაშენკო, რომლის წინააღმდეგ არა ერთი და ორი ბრალდება იყო წამოყენებული ჩვენი გაზეთების ფურცლებზე.

მაგრამ სამწუხაროდ ძველი ქალაქის საბჭო და მისი სურვილების აღმასრულებელი გამგეობა არას დროს ყურადღებას არ აქცევდა მუშათა წერილებს საერთოთ და კერძოთ ტრამვაის შესახებ. რომ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ თუ რა პიროვნება იყო პ. ერაშენკო, საჭიროა დავიწყოთ იქიდან, როცა ის პირველად გაჩნდა ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა შორის. მან თავის კარიერა დაიწყო „ლიანდაგის მფხეკაობიდან“ (скребщикъ линій) არ გასულა ორი სამი თვე მუშაობის დაწყებიდან, რომ ეს ვაჟბატონი კანდუქტორათ გადაიყვანეს. ეს იმ დროს, როცა მასზედ წინათ სამსახურში შესული მისი ამხანაგები ჯერ კიდევ რიგს უცდიდენ. კანდუქტორობიდან ისეთივე სასწრაფოთ კონტროლიორათ და იქიდან კი მოძრაობის უფროსის კანტორის გამგეთ მოგვევლინა ბ. ერაშენკო აქ ის ფაქტიურათ მოძრაობის უფროსის როლს ასრულებდა და როგორც მოესურვებოდა, ისე განაგებდა მთელი შვიდას-რვაასი კაცის ბედ-იღბალს. (კონდუქტორ-ვატმან-კონტროლიორები). და როდესაც ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრებაში რაიმე მოძრაობა დაიწყებოდა, ეს ბატ. ერაშენკო იყო მაშინ ყველა იმ არამზადა „აბრანნიკების“ ხელმძღვანელი და გზის მაჩვენებელი, რომლებიც ასე ბლომათ მოიპოვებოდენ ტრამვაიში. რომ მეტი არა ვსთქვათ პატარა „აბრანკას“ განყოფილება მუდამ არსებობდა ტრამვაიში და ფაქტიური ხელმძღვანელიც ბატ. ერაშენკო ბრძანდებოდა.

როცა გაფიცვების ნიშნები, აშკარათ თავს წამოყოფდა ტრამვაის მუშათა შორის, ერაშენკოს კაბინეტი მუდამ სავსე იყო სხვადასხვა ბნელი პიროვნებებით ბოქაულებით მათი თანაშემწეებით და შინაური გაიძვერებით, სადაც როგორც ბატონი ერაშენკო უჩვენებდა, ისე სწყდებოდა ტრამვაის მუშა მოსამსახურეთა ბედ იღბალი. ეს განსაკუთრებით ითქმის მოძრაობის მუშებზე, რომლებიდანაც ყველაზე მეტი მსხვერპლი ეწირებოდა ამ ვაჟბატონთა თარეშს ტრამვაიში, ყოველივე ეს ხდებოდა იმ დროს, როცა ბელგიელ კაპიტალისტების უპასუხისმგებლო აგენტები განაგებდენ მთელ თფილისის ტრამვაის ბედს.

როდესაც 1915 წელს დეკემბრის შუა რიცხვებში ტრამვაი ქალაქის ხელში გადავიდა, მუშებს იმედი მოეცა, რომ შავ ძალთა თარეშში იქნება ცოტათი მაინც ალაგმოსო, მაგრამ იმედი გაუცრუვდა: იმის მაგიერ, რომ ჩამოექვეითებინათ, უფრო აღამაღლეს ბ. ერაშენკო ერთი თანამდებობის მაგიერ სამი და ოთხი მისცეს. აი ეს თანამდებობებიც: 1. მოსამსახურეთა ტანისამოსების განყოფილების გამგეობა. 2. მთელი ტრამვაის საკანცელარიო მასალების განყოფილების გამგეობა, ყიდვა დარიგება და მრავალი სხვა. 3. მთელი მოსამსახურეთა სამხედრო სამსახურიდან შეღავათების მიცემის საქმე.

„ხაყორნიელი“.

(შემდეგი იქნება).

მუშათა ცხოვრება

ზინგერის მოსამსახურეთა გაფიცვა. 19 აგვისტოს მთელს რუსეთში დაიწყო გაფიცვა ზინგერის მოსამსახურეებისა. გაფიცვაში მონაწილეობას იღებს 12 ათასამდე კაცი, რომლებიც შეკავშირებული არიან „კომპანია ზინგერის მშრომელთა სრულიად რუსეთის კავშირში“. ამ კავშირის მთავარი გამგეობა იმყოფება მოსკოვში. გაფიცვას წინ მიუძღოდა კავშირის გამგეობასა და ზინგერის ფირმის გამგეობას შორის მოლაპარაკება, რომელიც ორ თვეზე მეტს გრძელდებოდა. მოლაპარაკებაში მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე შრომის სამინისტროს კომისარი. კავშირის გამგეობას სურდა მხოლოდ ერთი: მშრომელთა მოთხოვნების სამედიატორო სასამართლოსათვის გადაცემა, მაგრამ ფირმამ შეურიგებელი პოზიცია დაიჭირა: მოლაპარაკების დროსაც სხვადასხვა ადგილებში მუშებს ემუქრებოდა სამსახურიდან გაძევებით და პასუხისგებაში მიცემით.

კავშირის გამგეობა ცდილობდა როგორმე თავიდან აეშორებინა გაფიცვა. ის კარგათ გრძნობდა, რომ გარდა ზოგად სახელმწიფოებრივ მიზეზებისა, გაფიცვა არ არის სასურველი აგრეთვე იმიტომ, რომ თუ ხანგრძლივი გამოდგა, ბევრ დაბრკოლებებს შექმნის ჯარისათვის ტანისამოსის მიწოდების საქმეში, ვინაიდან ამ საქმეში საკერავ მანქანას დიდი მნიშვნელობა აქვს. დაბოლოს, ამით გაფიცვა დიდ ზარალს მოუტანს ათი-ათასობით მშრომელ ქალსა და კაცს, უმთავრესათ ომში გაწვეულ ჯარისკაცების ცოლებს, რომელთათვის საკერავ მანქანაზე მუშაობა მთავარი წყაროა არსებობისა. მაგრამ მშრომელთა კავშირის მისწრაფებამ მშვიდობიანის გზით დაესრულებინა უთანხმოება, უფრო გააძლიერა ფირმის პოზიციის შეურიგებლობა. და დიდის მწუხარებით კავშირის გამგეობა იძულებული შეიქნა, დაბოლოს, [illegible] მოეხდინა განკარგულება საყოველთაო გაფიცვის შესახებ.

ომიანობის დროს ზინგერის კომპანია ისე,

როგორც სხვა საგუბრო დაწესებულებები, გულმოდგინეთ უწევდა ფასებს თავის საქონელზე, ხოლო მოსამსახურეთა მდგომარეობას გაუმჯობესება ფიქრადაც არ მოსდიოდა. რევოლიუციამდე მხოლოდ და მხოლოდ გრიშების, კვირაში 1—2 მანეთის მომატებით კმაყოფილდებოდა ფირმა და ამ მომატებას „დროებით დახმარებას“ უწოდებდა. მაგალითისათვის აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთი მანქანების გამყიდველი ქალი კვირაში ღებულობდა მხოლოდ 5—7 მან., ე. ი. 22—30 მანეთს თვეში. ქალაქებში და მაზრებში ფირმას გალის აგრეთვე საშუალო ყოველ თვიური შემოსავალი 100 მ. არ აღემატებოდა. და ეს მაშინ, როცა მაზრაში მომუშავეებს უხდებათ ცხენის დაქირავება, ხოლო ქალაქში მომუშავეს კი ფეხსაცმელების გაცვეთა, რომელიც ასე ძვირია დღეს.

რევოლიუციის დაწყების შემდეგ კერძო გადაცვების წყალობით ფირმა იძულებული შეიქნა გაეუმჯობესებინა მშრომელთა მდგომარეობა. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ დღემდის მოსამსახურეები სულ მცირე ხელფასს იღებდნენ, ცხადი იქნება, რომ შრომის ფასის 50—100 პროც. გადიდება ვერ იხსნიდა მათ გაჭირვებისაგან.

რევოლიუცია პროვინციაში

ქ. სამტრედია. 6 აგვისტოს ქ. სამტრედიაში შესდგა მრავალ რიცხოვანი მიტინგი. მიტინგი გახსნა ამხ. გ. ღუნდუამ, რომელმაც სიხარული გამოსთქვა იმის გამო, რომ ხალხი ფხიზლად დარაჯათ უდგას რევოლიუციას, რასაც ამტკიცებს დღევანდელი მრავალ რიცხოვანი მიტინგი. მიტინგზე გარკვეულ იქნა სხვადასხვა საჭირბოროტო კითხვები; ილაპარაკეს თფილისიდან ჩამოსულმა ორატორებმა ა. ლომთათიძემ, ნ. ცერცვაძემ, ქარცივაძემ და ვ. ნიკურაძემ.

ორატორებმა გაარკვიეს დღევანდელი პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა და მოუწოდეს საზოგადოებას ორგანიზაციულად შეკავშირებულიყვნენ.

ამხ. ა. ლომთათიძემ გაარკვევით დაახასიათა მიზანი დღევანდელი რევოლიუციისა ამ სიტყვამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე თავის ჩვეულებრივი მჭერმეტყველობით წარმოთქმულ სიტყვით ამხ. ნ. ცერცვაძემ. ამას შემდეგ ლაპარაკობს ყოფილი კონტროლიორი დ. ქარცივაძე. იგი მიუთითებს საზოგადოებას და განსაკუთრებით, ჯარისკაცებს ციმბირში გადასახლებულ ამხანაგების სახელით და მოუწოდა ჯარისკაცებს რევოლიუციონური დისციპლინისაკენ... მე და ჩემსავანი ასი ათასი გაგვგზავნილვართ თქვენმა ძმებმა მოსისხლებმა და თქვენვე უნდა იხსნათ რევოლიუცია განადგურებისაგან, სთქვა სხვათა შორის ორატორმა.

აღფრთოვანებით შეხვდა საზოგადოება ამხ. ვ. ნიკურაძის გამოსვლას, რომელმაც თვალწინ გადაუშალა საზოგადოებას ძველი რეჟიმის დროის გამეფებული უსამართლობა, ტანჯვა წვალება და თავისუფლების განმტკიცებისათვის მოუწოდა დასწყრეთ, თავისი ინტერესების დაცვა მიანდონ ღირსეულ პირებს, ვინც ჭირში და ლხინში მათთან იყო განუშორებელი, ასეთია სოციალ-დემოკრატია, მას თქვენ ნდობა გამოუცხადეთ სასოფლო არჩევნებში, მას ჩააბარეთ ქალაქის საქმეები და იმედია, დამფუძნებელ კრებაზედაც მათ მიანდობთ თქვენი ინტერესების დაცვას, სთქვა ორატორმა.

ილაპარაკეს აგრეთვე ადგილობრივმა ორატორებმა, გამოარკვიეს რამდენიმე ადგილობრივი ხასიათის საკითხი. ხალხი მეტად კმაყოფილი და ნასიამოვნები დარჩა მიტინგით. სასურველია ასეთი მიტინგები ხშირად იწყობოდეს პროვინციაში.

მიტინგის შემდეგ კლუბში გაიმართა გ. ქუჩიშვილის საღამო. პირველ განყოფილებაში ამხ. ა. ლომთათიძემ წაიკითხა ლექცია თანამედროვე მომენტზე. მეორე განყოფილებაში წაიკითხეს საკუთარი ლექსები: გ. ქუჩიშვილმა, ლ. [illegible] და ს. [illegible]. ლექსები მეტათ მოხდენილათ იქნა წაკითხული, რამაც საზოგადოება დიდათ ასიამოვნა. მესამე განყოფილებაში სცენები წაიკითხა გ. ნუცუბიძემ.

გოგი.

ქ. ახალქალაქი. (საქალაქო არჩევნები). 13 აგვისტოს მოხდა საქალაქო არჩევნები; არჩეული იყო ოცი ხმოსანი. უმთავრესი მონაწილეობას არჩევნებში იღებდა ორი მიმდინარეობა: სოც. რევოლიუციონერები და დაშნაკელები.

სოც.-რევოლიუციონერებმა და ს.-დემოკრატებმა საერთო სია წარმოუდგინეს № 5 და გაიყვანეს 9 ხმოსანი (მათ შორის ერთი ს.-დემოკრატი), დაშნაკელებმა—6, ლაკებმა—3, კადეტებმა—1 და უპარტიომ—1.

დაშნაკელების საქმიანობამ არჩევნების დროს ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. ისინი როგორც ყველგან და ყოველთვის, არ ერიდებიან არავითარ საშუალებას, ოღონდ როგორმე მეტი ხმა მიიღონ. დილიდანვე ახალქალაქის ქუჩები ჭრელად დაქირავებული ამინდა დაშნაკების მიერ და ამით საშუალება მოსპო დანარჩენ მოქალაქეებს ესარგებლათ უფლებით. მეტის ძალით მიერეკებოდნენ საარჩევნო ყუთებთან, ძალით მიყავდათ დროშა მოხუცებულები და სხ. ამას არ დაჯერდნენ; საარჩევნო დარბაზის კარებში ძალით არიგებდნენ ამომრჩევლებს კონვერტებს, იღებდნენ სიას № 5 და სდებდნენ თავიანთ სიას № 4; ასეთმა მათმა არა კულტურულმა მოქმედებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მცხოვრებთა შორის. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ შემდეგში ახალქალაქის ხალხი გამოფხიზლებული დემოკრატია შესაფერ პასუხს გასცემს დაშნაკელების საქმიანობას.

იერო მაშიაშვილი.

პროვინციის ცხოვრება

ქ. ხონი. 18 ივნისს მოხდა ადგილობრივ კოოპერატივის წევრთა წლიური კრება. მოწვეული მეორეჯერ. კრებას დაესწრო 1600 წევრიდან მხოლოდ 300 წევრი.

განსახილველი იყო: 1) წლიური ანგარიში და გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნების საკითხი. სარევიზიო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. მიხაკო ხოფერიამ.

თავის მოხსენებაში ის ვრცლად ეხება გამგეობის მოქმედებას და ამბობს, რომ ძველმა გამგეობამ დიდი შეცდომები დაუშვა. მთელი ყურადღება გამგეობისა მიპყრობილი იყო საქმის კომერციულ მხარეზე და კულტურულ განმანათლებელ მუშაობას ნაკლები ყურადღება ქონდა მიქცეული.

საერთო მოხსენების შემდეგ ამხ. ხოფერია შეეხო წლიური ანგარიშის კითხვას, შესაფერი ახსნა-განმარტებით. წლიური ანგარიშიდან აღმოჩნდა, რომ ექვსი თვის წელია, რაც საზოგადოება არსებობს და წევრთა რიცხვი უდრის 1600 კაცს.

1917 წლის 1 იანვრის ანგარიში წარმოადგენს შემდეგ სურათს: აქტივი: ნაღდი კასაში 3349 მ. 63 კ., სხვადასხვა დაწესებულებაში—21918 მ. 52 კ., საქონელი—88420 მ. 50 კ., ქონება—377 მ. 93 კ. სულ—114066 მ. 58 კ.; პასსივი: სამაიო თანხა—5 370 მ., საწევრო გადასახადი, სათადარიგო და სხვა თანხები 85 244 მ. 25 კ.; დარჩა წმინდა მოგება 23.452 მ. 32 კ. სულ 114066 მ. 58 კ.

სარევიზიო კომისიის მოხსენების და ანგარიშის წაკითხვის შემდეგ ექიმი კულიაშკო-კორეცკამ გააკეთა მოხსენება გამგეობის სახელით, სადაც ის ამართლებდა გამგეობას გასული წლის მოქმედებებში.

კამათის შემდეგ კრება ამტკიცებს ანგარიშს. ხოფერიას წინადადებას იძლევა მოხდეს ხელახალი არჩევნები.

როგორც კი დაინახა ძველმა გამგეობამ, რომ კრებამ მას უნდობლობა გამოუცხადა, ასტეხეს ერთი გაგება თავის მომხრეების შემწეობით და ბოლოს დეზორგანიზაციულად დატოვეს კრება.

მათ წასვლის შემდეგ არჩეულ იქნა ახალი გამგეობა და სარევიზიო კომისია.

გამგეობაში აირჩიეს: ექიმი სიმორჯიევი, ექიმი კულიაშკო-კორეცკა, ნაცვხა, კარალიოვი, იაჩენკო, ტრაცინსკი, ჯამაშვილი, სტეპკო, ვოლკოვი, ზახაროვი, მასკალენკო, ბარინოვი და ტოტარინოვი. სარევიზიო კომისიაში: მიხაკო ხოფერია, ელ. კოციენკო, ნ. [illegible], დ. მიხეევი და ქ. [illegible].

შემდეგ განაწილებულ იქნა წმინდა მოგება შემდეგ ნაირად: 8874 მ. სხვადასხვა კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებებს. სხვათა შორის ადგილობრივ გაზეთს, რომელსაც მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო სცემს, მიეცა 2 000 მანეთი, დანარჩენი 14.578 მ. 32 კ. [illegible] სათადარიგო თანხას.

შემოსავალ-გასავლის ხარჯთ აღრიცხვა 1917 წლისათვის შემუშავებულ იქნა შემდეგი: ნავაჭრიდან 700 000 მანეთის საქონლის გაყიდვა. აქედან საერთო მოგება 49.000 მ. ნ.

წინასწარ აღნიშნულია შემდეგი ხარჯები: ჯამაგირი მოსამსახურეებს 27660 მ. შენობის იჯარა 9 256 მ., განათლება-განათება 200 მ., სამეურნეო ხარჯები 700 მ., სხვადასხვა ხარჯები 2480 მ. 50 კ. სულ 40.296 მ. 50 კ.

მ. გგ—ი.

ს. წალენჯიხა (სამეგრელო). 3 აგვისტოს აქ მოხდა წალენჯიხის რაიონის სოფლების ადგილ. კომიტეტების წევრთა ყრილობა. კრების საგანს შეადგენდა: სარაიონო კომიტეტის პრეზიდიუმის არჩევა, დამფუძნებელი კრებისთვის სარაიონო საარჩევნო კომისიის არჩევა და არჩევა სარაიონო სადგილ-მამულო კომიტეტისა.

პრეზიდიუმში აირჩიეს ხუთი კაცი: კლიმი ქარჩავა, თედორე კვარაცხელია (თავმჯდომარე), სამსონ შელია, ბ. ხარია და დ. ფიფია.

საარჩევნო კომისიის წევრებათ, გარდა პრეზიდიუმის თავმჯდომარისა, აირჩიეს: სოფრომ შენგელია, ალექსანდრე ბერიშვილი და დ. ფიფია.

სადგილ-მამულო კომიტეტის წევრებათ აირჩიეს: პეტრე გაბუნია, დ. ფიფია, ი. კვარაცხელია, ესტატე ქარჩავა და მიხა ფიფია.

შემდეგ მოისმინეს მოხსენება მაზრის კომისარი ე. ლეტრია, რომელმაც აღნიშნა ის საწუხარო მოვლენები, რომ ქურდობა რევოლიუციის შემდეგაც არ კლებულობს და მოუწოდებს მიიღონ ქურდობის წინააღმდეგ სასტიკი ზომები.

დელეგატების შესახებ კრება ადგენს, დავუცალოთ ს. კომიტეტებს და კომისარებს წარადგინონ დელეგატები და ჯარში გაწვეული ყველა პირები არა უგვიანეს აგვისტოს 10-სა.

დ. ფიფია.

ნაქალაქევი. 6 [illegible] სასურსათო კომიტეტმა მოაწყო საკუთარი პურის საცხობი. ჯერ ჯერობით აცხობს დღეში 150 ფუთ პურს. პური კერძო მეფურნეებთან ბევრათ შედარებით კარგი ღირსებისაა. იყიდება ნიხრზე. ეს არ ესიამოვნათ პურის მცხობლებს, კერძოთ ქართველ მეპურეებს და ერთ მშვენიერ დღეს გაფიცვა გამოაცხადეს, მოითხოვეს ნიხრის გადიდება. სასურსათო კომიტეტმა საჩქაროთ გამოუშვა მოწოდება მცხოვრებლების წინაშე, სადაც გაცნო საქმის მდგომარეობა, გააძლიერა პურის ცხობა და თავის განყოფილების შემწეობით ხალხს მისცა საშუალება პურით არ დარჩენილიყო.

ყველაფერი ეს იცნობა ქალაქის სასურსათო კომიტეტს; ქალაქის სარ. კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა რეკვიზიცია ექნა უბნის სასურ. კომიტეტს ყველა მეპურეების დუქნებისთვის და დაეწყო პურის ცხობა.

უბნის სასურსათო კომიტეტები შეუდგნენ რეკვიზიციის სისრულეში მოყვანას და რამდენიმე დუქანში პურის ცხობის დაწყებას. ამ მოვლენამ ძალიან დააფიქრა მეპურეები და მაშინვე შეწყვიტეს გაფიცვა. უბნის სასურსათო კომიტეტმა მისცა ფქვილი და ჩამოართვა პირობა პური ნიხრზე გაყიდონ.

დ. კ—ძე.

წერილები რედაქციის მიმართ.

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთ „ერთობის“ საშუალებით პასუხი მოვსთხოვო სვირის სადგურის „ტელეგრაფისტს“ გიორგი კლდიაშვილს, რომელმაც თავისი უმსგავსო საქციელით ცილი დამწამა, როგორც კომიტეტის წევრს, თითქოს მე აგიტაცია გამეწიოს ყველა ის მუშა მოსამსახურეებს კრების დადგენილების წინააღმდეგ... ვიწვევ მას სამედიატორო სამართალში; ჩემის მხრით მედიატორებად ვასახელებ ამხ.: ოლიმპიადა ბაქრაძეს, ვასო არაბიძეს და გიორგი ნიჟარაძეს. ვაძლევ ერთ კვირას ვადიდან გამოცხადებისა. საქმე უნდა გაირჩეს ქ. ყვირილაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ვიტოვებ უფლებას, ვუწოდო მას შესაფერი სახელი.

პატივისცემით გიორგი ნუკრაძე.

მადლობას ვუძღვნით სამსონ ალექსანდრეს ძე ფურაძეს, რომელმაც გამოგვიწერა ჩვენი დამცველი გაზეთი „ერთობა“.

ვარლამ ჩიტაძე.

მადლობას ვუცხადებთ იმ პირთ, რომლებმაც გულითადი დახმარება აღმოუჩინეს სუფსის აღმასრულებელ კომიტეტს.

ამხანაგ. მონდობილებით ირაკლი ქყონია.

ლაილაშის ფასიანი წიგნთ-საცავ სამკითხველოს გამგეობა მადლობას სწირავს ყველა იმათ, ვინც ჩვენი სამკითხველოს სასარგებლოდ წვლილი გაიღეს, აგრეთვე მადლობა შემომწირველთ და შემგროვებელთ.

გამგეობა მოავლინებს იმ ნამდვილ წევრებს, რომლებიც ამ ჟამად აქ არ იმყოფებიან, გამოგზავნონ საწევრო ფული.

გამგეობის თავმჯდომარე არ. მეგავანაძე.

მდივანი მ. აფაქიძე.

პლატონის გარნიზონის სალდათთა, მუშათა და გლეხთა საბჭო ღრმა მადლობას სწირავს ინჟინერ მ. მ. პაუცს, რომელმაც 55 მანეთი შემოსწირა პლატონის აღმასრულებელ კომიტეტში არსებულ ბიბლიოთეკის ფონდს.

პლატ. გარნიზონის საბჭოს თავმჯდომარე კოლია კალანდაძე.

ს. წიფნაგვარის ერთ-კომპლექტიანი სკოლის ორ კომპლექტიანათ გადასაკეთებელ ფონდის გასადიდებლათ შემოსწირეს: ბესარიონ ქერქაძემ ასი მანეთი თავისი გარდაცვალებულ შვილის ილიკო ქერქაძის ხსოვნის აღსანიშნავათ; გაბრიელ ქერქაძემ სამი თუმანი ვერმანის ფრონტზე გარდაცვლილი შვილის სანდრო ქერქაძის სახსოვრად; ევტიხი ფოცხიშვილმა ათი მანეთი გარდაცვლილი მამის ნიკოს ფოცხიშვილის სახსოვრად; ივანე ფოცხიშვილმა ოცი მანეთი გარდაცვლილი მეუღლის ფატინე ფოცხიშვილისა ცინცაძის სახსოვრად; მადლობას ვსწირავთ აგრეთვე ბექერმანტი და იასონ ნიკოლოზის ძე აბაიძეებს და აგრეთვე კონსტანტინე წერეთელს, რომლებმაც უძღვნეს გარდაცვლილი მათი ნათესავი თეოფილე ილარიონის ძე ქერქაძის ხსოვნის აღსანიშნავათ ამდენ მანეთს: გადიდეს პირველმა 5 მ., ხოლო მეორემ და მესამემ სამ სამი მანეთი. ყველა ამათ მადლობას ვწირავთ.

წიფნაგვარის სკოლის სამეურვეო მზრუნველი დათიკო ფოცხიშვილი.

მადლობას ვუცხადებთ ამხ. სიმონ და ხარია ჯორბენაძეებს, რომლებიც მათ სურთ აღზარდონ ღარიბი იჯარის შვილი ფარადია მოსწავლე რაფიშვილი ქალთა გიმნაზიაში.

ა. მოისრაფიშვილი.

„ანნონის“ მოსამსახურეები რიცხვით: ოცდათამეტი, დიდათ დაგვამწუხრა, ამხანაგი გიორგი ლომაშვილის უდროოთ გარდაცვალებამ. ამხანაგ გიორგის დიდი სამსახური მიუძღვის ჩვენი პროფესიონალური კავშირის დაარსებაში. გიორგი, შენი ხსოვნა და სიყვარული ჩვენ გულიდან არ ამოიშლება. საუკუნოთ იყოს შენი ხსენება, პატიოსანო მუშაკო.

ამხ. მონდ. ი. ქაჯაია.

ფონდი.

ჯ. კ. მე-20 კავკასიის მსროლელთა პოლკიდან სტამბის სასარგებლოთ 15 მან. გამოგვიგზავნა გრიგორი მიქეს ძე ხურციამ და არა გიორგი ხურციამ, როგორც ეს „ერთობის“ № 116 იყო მოთავსებული.

ცნობები

ჯარის-კაცთა შესახებ.

31 მკათათვეს 1917 წ. ოსმალ ქურთების კონტრ-იერიშის დროს დაიღუპნენ ქართველ მსროლელთა პოლკის შემდეგი ჯარისკაცები: კალანდაძე მიხეილ, ოზურგეთის მაზრა სოფ. ხიდისთავი; იოსებ ი—ძე ძმანიაშვილი, სიღნაღის მაზ. ს. მილდე; ონისიმე ლ—ძე ქრისტესაშვილი, ბორჩალოს მაზრა ს. გომარეთი; დავით შ—ძე ქადაგიძე, თიანეთის მაზრა ს. ალვანი; აქსენტი დ—ძე ჯანჯღავა, სენაკის მაზ. ს. ხიბი; ტომანოზ პ—ძე კაკაძე, ქუთაისის მაზ. ს. ლალიაში; მიხეილ ა—ძე ბალატაშვილი, გორის მაზრა ს. მარმაზეთი; კოტე შ—ძე ქადაგიძე, თიანეთის მაზრა ს. ალვანი; პავლე მე—ძე შონია ზუგდიდის მაზ. ს. დიდინეძი; ბაგრატ ს—ძე ხორავა, ს. კულევ; თომა გ—ძე გედენიძე, სენაკის მაზ. ს. კინხი; დაჭრილები: იაკობ გვ—ძე გოგია, ახალ სენაკის მაზ. ს. ფოცხო; რომანოზ ე—ძე ქანთარია, ზუგდიდის მაზ. ს. ხორგა, ივანე კ—ძე ცხადაია, ზუგდიდის მაზ. ს. ცაიში; თედორე ზაქარიას ძე ნაცვლიშვილი, სიღნაღის მაზრა ს. ბოდბისხევი; ვარლამ ი—ძე შარვაძე, შორაპ. მაზრა; ანტონ ი—ძე თუმანოვი, ახალციხის მაზ. ს. უდე; სიმონ ა—ძე დიდმარხვაშვილი, თელავის მაზ. ს. ძველიგავაზი; ივანე ი—ძე ციფრიაშვილი, სიღნაღის მაზრა ს. მაშნაში.

მე 13 როტის აზნაურების მინდობილობით
მელქისედეკ ლ—ძე კუნჭულია.

— არჩილ ანდრიას ძე პოლდაძე, შორაპნის მაზრა, რიხის საზოგადოება; წესამჟამოდ მსახურობდა მესაზღვრე პოლკში, მე-4 როტაში, მე 4 ზვოდში. 1916 წ. გიორგობისთვეში ავათ გახდა და დაწვენს გეილენბურგის ლაზარეთში. მას შემდეგ არავითარი ცნობა. გთხოვთ გვაცნობოთ: კავკასიის არმია, მე-3 კავკასიის საზღვრის ფეხოსანთა პოლკი, დამტარებულთა კომანდა, მოსე ქუთათელაძე.

— ვასილი პლატონის ძე კორინთელი, მსახურობდა მეორე პარკის განყოფილებაში, მეხუთე მთის ბატარეაში, მეოთხე კავკასიის მსროლელთა არტილერიის ბრიგადაში. თუ ვინმემ რამე იცის, ვთხოვთ გვაცნობოს შემდეგი ადრესით: სოფ. ტყვიავი, გორის მაზრა ეკატერინე კორინთელისას.

თფილ. ოკრ. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტეს სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: (ავლაბარი, ორთაჭალა, ნავთლუღი) ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა დილ. 9—2 ს., საღ. 5—9 საათ. ტელეფონი № 5—98.

მეოთხე რაიონული კოლექტივი დღეიდან დროებით გადავიდა მე-6 ვაჟთა გიმნაზიაში, უდედნის ქუჩაზედ. ბიურო ღიაა 6—8 საათ. საღამოთი.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინის პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა სახლის ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან. ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში). კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

ექიმის თანაშემწე
ვანო სააკაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ყოვ. დღ. 6—8 საათ. ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება, (სისხლის ნაკლებობა, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ.) ელექტრიზაციით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა და სხვ. მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი). (12—4)

მედიცინის დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება. შინაგანი ავათმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. დიდი სალინოიდი არსონვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავათმყოფობისათვის. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე, საღამოს 6—8-მდე. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი გ. მ. მუხაძე
ქობულეთში გამგზავრების გამო შეწყვეტა ავადმყოფების მიღება ენკენისთვის ბოლომდის.

ექიმი ივანე თიკანაძე
იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.
[illegible] ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible]. ტელეფ. 15—00.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა 1—2 და საღ. 5—6 ნახ. ს-დის. გუნიბის ქ. № 41.

ქ. ქუთაისი.
ექიმი გ. ი. ჩხენკელი
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

ექიმი ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულ და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტ. „ნოის“, პირდაპირ.

ქუთაისი
ექიმ გ. ი. გოკიელის
ელექტროობისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა. 6—8 ს. საათამდე

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასაჟი და ელექტრიზაცია. ტექნიკური ქუჩა, № 4

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ. კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზუმოვსკის ქუჩა, № 19.

ქუთაისში
ექიმი **ვალერიან ლორთქიფანიძე**
იღებს შინაგან, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდე. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკი სახლში.

„სორაპანის“ გამოცემა
დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ სახელმძღვანელო წიგნები
ქართველი მწერლები წიგნი პირველი. შედგენილი ივ. გომელაურის მიერ ფასი 2 მან.
ქართველი მწერლები წიგნი მეორე ფასი 5 მან.
იყიდება ყველგან საქართველოს წიგნის მაღაზიებში
გამოვიდა და იყიდება **„ჩანგი“** მ. გაჩეჩილაძისა ფ. 4—50 კ.
(10—1)

ბუხგალტერიის და კონტორის ცოდნათა კურსები
მეორე თფილისის კომერციულ სასწავლებელთან ორივე სქესის პირთათვის. მეცადინეობა დაიწყება 10 სექტემბრიდან, გათავდება 20 დეკემბერს. თხოვნები მიიღება სასწავლებლის კანცელარიაში. (15—3)

Съ 4-го мая въ г. Тифлисѣ выходитъ ежедневная газета на русск. языкѣ
БОРЬБА
Органъ Закавк. Областнаго и Тифлисскаго Комитетовъ Россійской Соц.-демократической Рабочей Партіи.
Подписка какъ городская, такъ и иногородная принимается въ конторѣ „Ганатлеба“ (Ольгинская № 6). Деньги для подписки адресовать: Тифлисъ, почт. ящ. 96 Сильвестру Ремановичу Таварткиладзе.
Корреспонденціи и статьи направлять по адресу: Тифлисъ, Головинскій пр. № 12 для редакціи «Борьба».
Подписная цѣна до конца года 9 р., 3 м. 5 р. 50 к., 1 мѣс. 2 р.

[illegible] სტამბა [illegible] შესახვევი № 1.